ალია

N109(3039) 17 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ საწინააღმდეგო ხელმოწერები პარლამენტს გადაეცა

რას აპირებს სამოქალაქო მოძრაობა, თუკი კანონის განხილვაზე უარს ეტყვიან?



## არგუმენტები, რომლებსაც კიწმარიშვილის მკვლელობამდე მივყავართ

3

## რას უყვება „ალიას“ ექსპერტი, რომელმაც ეროსი კიწმარიშვილის ცხედარი დაათვალიერა...

9

## ნარკოშემოწმების გარეშე დეპუტატები საკრებულოში ვეღარ მოხვდებიან?

სამაგიეროდ, მერები, მოადგილეები, გამგებლები „გულაობენ“...

## დავით წიქარიშვილი: „ბენდუქიძე შედის მინისტრთან და თავზე ახურებს ყველაფერს, როგორ ბედავ, რომ გზავნი მონიტორინგის სამსახურსო“



## ვანო მერაბიშვილი შორტებს ითხოვს

„ამაზე „ნაციონალები“ ატეხენ ერთ ამბავს, ვანო მერაბიშვილი გაგვიგიჟეს, არიქა, რაღაც წამლებს ასმევენ და ამიტომაც აქვს ჰალუცინაციებიო“





# ვანო მერაბიშვილი შორტებს ითხოვს

**„ამაზე „ნაციონალები“ ატეხენ ერთ ამბავს, ვანო მერაბიშვილი გაგვიგიჟეს, არიქა, რაღაც წამლებს ასმევენ და ამიტომაც აქვს ჰალუცინაციებიო“**

**„შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს ზაფხულის ცხელი დღეების გამო, საკანში სიცხე აწუხებს. ეს ინფორმაცია სააგენტო „ამბები.გე“-ს მერაბიშვილის ადვოკატმა, გიორგი ჩივიაშვილმა დაუდასტურა:**

**— ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მას სიცხე აწუხებს საკანში და ითხოვს შორტების ჩაცმის უფლებას, მართალია თუ არა ეს ინფორმაცია?**

– იყო ასეთი საუბარი... მივწერეთ სახალხო დამცველს, თუ გაითვალისწინებენ მის მოთხოვნას, როგორც ყველა სხვა ადამიანი, ვანო მერაბიშვილიც ჩაიცვამს შორტებს.

**— ე.წ. ვენტილატორი არ აქვს საკანში?**

– არ ვიცი“.

როდესაც ეს ინფორმაცია გავრცელდა (ორიოდე დღის წინ), ბევრმა არასერიოზულად ჩათვალა, ბევრმა იცინა და ბევრმა ისიც თქვა, ვანო მერაბიშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებსო. როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, სიმართლესთან შეიძლება მესამე ვერსია უფრო ახლოს იყოს. ინკოგნიტო წყაროს თქმით, ბოლო დროს ვანო მერაბიშვილის ფსიქიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ბოლო რამდენიმე კვირაა, მასთან თითქმის ყოველდღე დადის ფსიქიატრი, რომელიც უწევს კონსულტაციებს და არწმუნებს, რომ ცხოვრებაში უარესი ამბებიც ხდება:

„ვანო მერაბიშვილს აწუხებს ჰალუცინაციები, მოჩვენებები, ასახელებს გაურკვეველი ადამიანების გვარებს, კამერაში ზის სრულიად შიშველი და ტანსაცმელს აცმევენ ძალით. როდესაც მასთან ადვოკატი შედის, თავს ურტყამს კედელს და იძახის – ვვარჯიშობო. შემთხვევითი არ იყო შორტების ჩაცმის მოთხოვნაც, მან ადვოკატი აიძულა, ამის თაობაზე სახალხო დამცველისთვის მიეწერა. ასევე, ითხოვს გასაჩივრებას, რომ მას არ აძლევენ ვარჯიშის უფლებას და ღამით ვიღაცები აწუხებენ, ემუქრებიან, საკნიდან უნდა გაგიყვანოთო. მას აქვს მუდმივი შიში, რომ მოკლავენ და ოჯახსაც ამოუხოცავენ. როგორც ჩანს, მას აქვს სმენითი ჰალუცინაცია, არის პერიოდები, როცა ჩვეულებრივად შედის კონტაქტში, ნორმალური შესახედაობა აქვს, მაგრამ მერე ეწყება შიზოფრენია, რაც, ბუნებრივია, უნდა უკავშირდებოდეს ძლიერ დეპრესიას. მე არ ვიცი, შეიძლება მომენტებში იტყუება კიდეც, შეიძლება სპეციალურად ქმნის ისეთ სიტუაციას, შეიძლება თამაშობს. მე გეუბნებით ფაქტს და როდესაც ეს ინფორმაცია თქვენი გაზეთის საშუალებით გამოქვეყნდება, ალბათ, ციხის ადმინისტრაცია, სადაც ვანო მერაბიშვილი ზის, ამ ფაქტს ველარ დამალავს. წესით, უნდა არსებობდეს ვიდეოჩანაწერებიც, მაგრამ არა მგონია, ამისი გამოქვეყნება უპრიანი იყოს. ამაზე „ნაციონალები“ ატეხენ ერთ ამბავს, ვანო მერაბიშვილი გაგვიგიჟეს, არიქა, რაღაც წამლებს ასმევენ და ამიტომაც აქვს ჰალუცინაციებიო. დაბეჯითებით გეუბნებით, რომ აქ არავის ხელი არ ურევია“.

**„როდესაც ეს ინფორმაცია თქვენი გაზეთის საშუალებით გამოქვეყნდება, ალბათ ციხის ადმინისტრაცია, სადაც ვანო მერაბიშვილი ზის, ამ ფაქტს ველარ დამალავს. წესით, უნდა არსებობდეს ვიდეოჩანაწერებიც, მაგრამ არა მგონია, ამისი გამოქვეყნება უპრიანი იყოს“**

**ადვოკატ ჩივიაშვილისგან გვაინტერესებდა, მიიღო თუ არა პასუხი ომბუდსმენის აპარატიდან და რა იყო ეს პასუხი, თუმცა ჩივიაშვილთან დაკავშირება ვერ შევძელით.**




ასევე, გვაინტერესებდა, დადის თუ არა ვანო მერაბიშვილთან ყოველდღე ფსიქიატრი. სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, თაია მახარაძეს ჩვენს კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

**მაინც რა გახდა ამ პაპანაქება სიცხეში შორტების ჩაცმა ასეთი, რომ განსაკუთრებული ნებართვაა საჭირო?**

**როგორც ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი „ალიასთან“ აცხადებს:**

– ეს არ არის ღადაობა, სერიოზული პრობლემაა, არავის არ აძლევენ უფლებას, რომ შორტები ჩაიცვას.

**— რატომ, ეს რა პრობლემაა?**

– არ ვიცი, ციხეში ასეა რატომღაც.

**— აბა, პატიმრებს რა აცვიათ?**

– ჩვეულებრივი გრძელი სპორტულები. ვეკითხებით და არავინ არ გვპასუხობს, კანონით ასეაო. „პატიმრობის შესახებ“ კანონში არის მითითება, რომ პატიმრებმა ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ფორმით უნდა ისარგებლონ. ამის შესახებ ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა მართლა შეიტანა განცხადება და არა მხოლოდ მან, ეს სხვა პატიმრებსაც აწუხებთ. ზამთარში რომ კაპიუშონიან ქურთუკებს არ უშვებენ, ეს გასაგებია, კაპიშონში პატიმრის სახე იფარება და კამერა ვერ აფიქსირებს, მაგრამ ეს შორტები რას უშლის ხელს, ეს ვერ დავადგინე.



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ყოფილი ხელისუფლება, საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეს“



„ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკური მდივანი, მამუკა კაციტაძე, არასამთავრობო ორგანიზაციების იმ ნაწილის განცხადებებს გამოეხმაურა, რომლებიც მოითხოვენ, საქართველოს ექსპრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დაიკითხოს და გაასამართლონ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი საქართველოში არ ჩამოვა, სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნას, რომელიც სააკაშვილს ჩააკითხავს და ადგილზე დაჰკითხავს.

„მგონია, რომ ეს მოთხოვნა პიარის შემადგენელი ნაწილია და სხვა არაფერი. მიხეილ სააკაშვილის დაკითხვასთან, გასამართლებასთან, შესაძლო დასჯასთან და ა.შ. დაკავშირებით, უნდა ილაპარაკოს პროკურატურამ, შს სამინისტრომ, მათი რანგიდან გამომდინარე. ეს არ არის არასამთავრობო ორგანიზაციების თემა. ვერ ვხედავ ამ თემას შედეგზე ორიენტირებულ თემად. ზოგადად, საზოგადოების მოთხოვნას, რომ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს და უნდა დაისაჯოს, მარტივად ვიტყვი, მომხრე ვარ, როგორც ყოფილი, ასევე იმის წინა ხელისუფლებაც დადგეს საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე. რაოდენ უხერხულიც არ უნდა იყოს, უნდა შეიქმნას პრეცედენტი, რომ დამნაშავე ისჯება“ – განაცხადა კაციტაძემ. (რეპორტიორი)

## ტელევიზიის გეგმებზე კიწმარიშვილს გიორგი თარგამაძესთან მოლაპარაკებები ჰქონდა



გიორგი თარგამაძე აცხადებს, რომ საკაბელო ტელევიზიის შექმნის შესახებ კონსულტაციები ეროსი კიწმარიშვილს მასთანაც ჰქონდა.

„ბოლო ერთი წლის, წელიწად-ნახევრის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები გვქონდა. ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსაუბრობდით გარკვეულ გეგმებზე და ეს გეგმები უკავშირდებოდა ტელევიზიას. გარკვეულ კონცეფციაზეც კი ჩამოვყალიბდით უკვე. შემდეგ როდესაც მან გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში რუსთავში, ეს კონტაქტი შეჩერდა ჩვენს შორის. თვითმმართველობის არჩევნების დროს ერთხელ შევეხმიანეთ ერთმანეთს, ტელეფონი დაკარგა და მონაცემები წაეშალა და მთხოვა, რამდენიმე ჟურნალისტის პოვნაში დავხმარებოდი“, – განაცხადა თარგამაძემ. (ნიუპოსტი)

## პროკურატურის სპეციალური განცხადება ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

პროკურატურა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების მიზეზებს იძიებს და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ეროსი კიწმარიშვილის ძმის მონაწილეობით ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, გასროლილი მასრა და იარაღის მჭიდში მოთავსებული ვაზნები, რომლებიც ექსპერტიზას გადაეცა, ასევე დაიკითხნენ მოწმეებიც. „გამოძიება იწყება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შემოსულია სამართალდამცავ ორგანოებში და თუკი გამოძიების პროცესში გამოიკვეთება საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებები და სახეზე გვექნება სხვა დანაშაულის ნიშნები, მოხდება ქმედების გადაკვალიფიცირება და სხვა მუხლით დაკვალიფიცირება. ამ დროისთვის ხდება სხვადასხვა საგამოძიებო ვერსიების შემოწმება და წინასწარ რაიმე დასკვნების გაკეთება, რომ სახეზე გვაქვს თვითმკვლელობა, ან მკვლელობა, ან უბედური შემთხვევა, ნაადრევია“, – განაცხადეს პროკურატურაში. (რეპორტიორი)

საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“



# არგუმენტები, რომლებსაც კინმარიშვილის მკვლელობამდე მივყავართ

ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა. ცხადია, ჯერ ადრეა საბოლოო დასკვნების გაკეთება, მაგრად ახლად აღმოჩენილი გარემოებებისა და ფაქტების გამო, მომხდარ ტრაგედიაზე საფუძვლიანი მსჯელობა შეიძლება.

გაირკვა, რომ კიწმარიშვილს იარაღი მიბჯენით აქვს ნასროლი. ეს ფაქტი გამორიცხავს იარაღის შემთხვევით გავარდნასა და ფატალურ შედეგს. შემთხვევითი, იარაღის გავარდნით სიკვდილის ვერსიის გამორიცხვის შემდეგ, ორი ვერსია რჩება – თვითმკვლელობა და მკვლელობა. მოდით, არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით ამ ორ ვერსიას მივყვეთ.

საკმაოდ არამყარად არგუმენტირებულია თვითმკვლელობის ვერსია. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ეროსი კიწმარიშვილმა მკვლელობის დღეს, 15 ივლისს იყიდა და დაირეგისტრირა იარაღი „ჩეზე 75“. გამოძიება ჯერ არ ამბობს, ამ იარაღით არის თუ არა მოკლული კიწმარიშვილი, მაგრამ იმავე გამოძიების ოფიციალური ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იყო კიწმარიშვილის კუთვნილი იარაღი. შესაბამისად, თუ შემთხვევის ადგილზე მხოლოდ ეროსის იარაღი იყო, მაშინ, თეორიულად დასაშვებია, მკვლელობა თუ თვითმკვლელობაც ამ იარაღით მოხდა. თუმცა, ეროსი კიწმარიშვილს სახლში მეორე იარაღიც ჰქონია, ამას მისი მეგობარი ბადრი ნანეტაშვილი ადასტურებს ოფიციალურად. კიწმარიშვილს თავის მოკვლა თუ უნდოდა, ის იმ იარაღით მოიკლავდა თავს, რომელიც სახლში ჰქონდა. ყოველი შემთხვევისთვის, ახალი იარაღის შეძენასა და რეგისტრაციაზე დროს არ დაკარგავდა. იარაღის შეძენა-რეგისტრაციას, მინიმუმ, ერთი დღე სჭირდება და არცთუ სასიამოვნო პროცედურებია გასავლელი. მათ შორის, ჯანმრთელობის ცნობის, „ფსიხოს“ აღება. დაუჯერებელია, რომ კაცმა, რომელსაც თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ერთი დღით გადადო თვითმკვლელობა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს ახალი იარაღით მოესწრაფა სიცოცხლე. თვითმკვლელობის ვერსია, თუნდაც ამ ერთი ფაქტორის გათვალისწინებით, ძალზე მოიკოჭლებს.

„კიწმარიშვილს თავის მოკვლა თუ უნდოდა, ის იმ იარაღით მოიკლავდა თავს, რომელიც სახლში ჰქონდა. ყოველ შემთხვევისთვის, ახალი იარაღის შეძენასა და რეგისტრაციაზე დროს არ დაკარგავდა. დაუჯერებელია, რომ კაცმა, რომელსაც თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ერთი დღით გადადო თვითმკვლელობა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს ახალი იარაღით მოესწრაფა სიცოცხლე“

ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის ვერსიას მისი მეგობრების ჩვენებებიც გამორიცხავს. გიორგი ხევიაშვილი, გიორგი თარგამაძე, ბადრი ნანეტაშვილი და სხვები ირწმუნებიან, რომ მას შორსმიმავალი, საკმაოდ სერიოზული გეგმები ჰქონდა, ამის შესახებ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ლაპარაკობდა და საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებდა მომავალს. გიორგი თარგამაძე იმასაც ამბობს, კიწმარიშვილს ტელევიზია უნდა დაეფუძნებინა და ამაზე კონსულტაციები ჰქონდათ. ამ პროექტის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ და ზოგიერთი დეტალი უკვე დაზუსტებულიც კი ჰქონდათ. მეტიც, კიწმარიშვილს მისთვის იმ ჟურნალისტების ტელეფონის ნომრებიც კი გამოურთმევია, რომელთა დასაქმებასაც თავის ახალ ტელევიზიაში აპირებდა. გიორგი თარგამაძე, ასევე აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილს რამდენიმე კარგად აწყობილი ბიზნესი ჰქონდა, ფინანსურ პრობლემებს არ განიცდიდა და არც ვალები ჰქონდა. ვალების გამო თვითმკვლელო-

**როგორც ჩანს, ეროსი კიწმარიშვილმა საფრთხე ვერ იგრძნო იმ ადამიანისგან, ვინც მანქანაში ჩაუჯდა. საფრთხე რომ ეგრძნო, ჯერ ერთი, მანქანაში „რემენით“ არ იქნებოდა დაბმული — ადგილზე მისულ პოლიციას ასეთ პოზაში დახვდა. უცხო ადამიანს ეროსი მანქანაში, თან ავტოსადგომზე არ ჩაისვამდა, მით უფრო, თუ მისგან რაიმე აგრესიას იგრძნობდა, „რემენისგან“ განთავისუფლდებოდა, იარაღს გაისროდა და მას თუ ვერ მოარტყამდა, ნატყვიარს მაინც აღმოაჩენდნენ სადმე. ბოლო-ბოლო, მანქანიდან გადახტებოდა და გაქცევას მაინც შეეცდებოდა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საია პროკურატურასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართავს




„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში, სავარაუდოდ, „მაყურებლების“ არსებობასთან დაკავშირებით პროკურატურასა და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიმართავს.

როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „შავლეგ გურგენიძე საია-სთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში უთითებს მე-8 დაწესებულების „ა“ კორპუსში მყოფ ორ პიროვნებაზე, რომლებსაც მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა და, სავარაუდოდ, ე.წ. „მაყურებლებს“ წარმოადგენენ. შავლეგ გურგენიძის განმარტებით, აღნიშნული პირები არიან თემური და ოთარი (ერთ-ერთი გვარად არის ლოლუა). ეს პირები ზეწოლას ახდენენ სხვა პატიმრებზე. თემური და ოთარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან თავისუფლად, სხვა პატიმრებს სთხოვენ ტელეფონის ბარათს, სიგარეტისა და სხვადასხვა პროდუქტების ყიდვას. თუ რომელიმე პატიმარი არ შეასრულებს მათ მითითებას, ოთარის ან/და თემურის მითითებით ადმინისტრაციის თანამშრომლებს გადაჰყავთ სხვა კორპუსში“, – აცხადებს შავლეგ გურგენიძე, რომელიც უთითებს, რომ ისიც რამდენჯერმე გახდა იძულებული, მათი მოთხოვნები შეესრულებინა. გურგენიძის განმარტებით, დასახელებულ პირებს მფარველობს №8 დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

„დასახელებული ფაქტები დაუყოვნებლივ შესწავლას მოითხოვს. დაუშვებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონკრეტული პატიმრების მხრიდან გავლენის მოპოვებისა და ციხის ადმინისტრაციის საქმიანობაში მათი ჩარევის პრაქტიკის არსებობა, მით უმეტეს თუ ამის შედეგად სხვა პატიმრების უფლებები ირღვევა. საია მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში შეისწავლონ მითითებული ინფორმაცია და მისი დადასტურების შემთხვევაში ყველა შესაბამის პირს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისროს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## „ივანიშვილ-კალაძის მაფიას გადაწყვეტილი აქვს, შემოდგომიდან დენის ტარიფი გაზარდოს“



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, ელექტროენერგიის ტარიფი შემოდგომიდან გაზარდოს.

„ხელისუფლება აგრძელებს ჩვენ მიერ შემცირებულ დენის ტარიფზე მასირებულ შეტევებს. დენის საფასურზე დაპირებული შემცირებების ნაცვლად, ივანიშვილ-კალაძის მაფიას გადაწყვეტილი აქვს, შემოდგომიდან გაზარდოს დენის ტარიფი და მე მათ აქედანვე ვაფრთხილებ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იქნება მათი პოლიტიკური სამარე“, – აცხადებს ნათელაშვილი.

ცნობისთვის, ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო ზრდაზე ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ უარყო.

შეგახსენებთ, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის განცხადებით, ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის პირობებში, რთულია წინასწარ განსაზღვრა, მოიმატებს თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი. ვალიშვილის განცხადებით, ინვესტირების გაზრდამ ამ სფეროში შესაძლოა, ტარიფების გაზრდაც გამოიწვიოს. (news.ge)

*მესამე გვერდიდან*

ბის ვერსიას ეცლება საფუძველი. კი, შესაძლოა, ადამიანს არც ვალები ჰქონდეს, სერიოზული გეგმებიც გააჩნდეს, მაგრამ თავი მაინც მოიკლას. თეორიულად, ყველაფერია დასაშვები, თუმცა, კიწმარიშვილის მეგობრების ეს განცხადებები თვითმკვლელობის ვერსიას კიდევ უფრო ასუსტებს, საფუძველს აცლის.

რაც შეეხება მკვლელობის ვერსიას, გუშინ აღმოჩენილი ახალი ფაქტები ამ ვერსიას ამაგრებს. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეროსი კიწმარიშვილის საცხოვრებელი სახლის ავტოსადგომზე, სადაც ეს უბედურება მოხდა, სათვალთვალო კამერა შეტრიალებულია და რადგან ის დამტვერილი იყო, მასზე ნათითურები შეინიშნება. ეს სწორედ ის სათვალთვალო კამერაა, რომლის არეალშიც ავტოსადგომის ის მონაკვეთი უნდა ყოფილიყო მოქცეული, სადაც კიწმარიშვილი მანქანას აყენებდა, სადაც მისი მანქანის ადგილი იყო. გამოდის, ვიღაცამ წინასწარ იზრუნა იმაზე, რომ კამერას არ დაეფიქსირებინა ის, რაც შემდეგში უნდა მომხდარიყო იმ ადგილას, სადაც ეროსი მანქანას აჩერებდა, ანდა თავად მანქანაში. ლოგიკურად ჩნდება აზრი, რომ ეს გააკეთა მკვლელმა, სწორედ მას არ სურდა, რომ დაფიქსირებულიყო, არც იქ, სადაც ეროსის ელოდებოდა, ანუ მისი მანქანის გასაჩერებელ ადგილას და არც შემდგომში – ეროსის მანქანაში. ამ ვერსიას თუ გავყვებით, მკვლელმა ჯერ კამერა შეატრიალა, მერე ავტოსადგომში დაელოდა ეროსი კიწმარიშვილს, როცა ის მოვიდა, ჩაუჯდა მას მანქანაში. როგორც ჩანს, ეროსი კიწმარიშვილმა საფრთხე ვერ იგრძნო იმ ადამიანისგან, ვინც მანქანაში ჩაუჯდა. საფრთხე რომ ეგრძნო, ჯერ ერთი, მანქანაში „რემენით“ არ იქნებოდა დაბმული – ადგილზე მისულ პოლიციას ასეთ პოზაში დახვდა. უცხო ადამიანს ეროსი მანქანაში, თან ავტოსადგომზე არ ჩაისვამდა, მით უფრო, თუ მისგან რაიმე აგრესიას იგრძნობდა, „რემენისგან“ განთავისუფლდებოდა, იარაღს გაისროდა და მას თუ ვერ მოარტყამდა, ნატყვიარს მაინც აღმოაჩენდნენ სადმე. ბოლო-ბოლო, მანქანიდან გადახტებოდა და გაქცევას მაინც შეეცდებოდა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. მანქანაში არსებულ არანაირი თავდაცვის, არანაირი ბრძოლის კვალზე გამოძიებას სიტყვაც კი არ დასცდენია. აქედან ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნაზე, რომ ადამიანი, რომელიც შესაძლოა ეროსი კიწმარიშვილს მანქანაში ჩაუჯდა, მისი კარგი ნაცნობი მაინც იყო, ახლობელი თუ არა.

**გამოძიება არ ამბობს, რომ ეროსი მანქანაში ნაპოვნი იარაღით არის მოკლული. შესაძლოა, მკვლელმა საკუთარი იარაღი გამოიყენა და ამ ვერსიას ერთი გარემოებაც ამყარებს. გარდაცვლილის ძმა, ზურაბ კიწმარიშვილი აცხადებს, რომ მანქანაში ნაპოვნ იარაღზე სისხლის კვალი არ შეინიშნება**

მოდით, ამჯერად, ვიდრე გამოძიება და დამოუკიდებელი ექსპერტიზა ახალ დეტალებს გაავრცელებენ, ეს ვერსია განვავრცოთ. ეროსი კიწმარიშვილი მოკლულია და მოკლა მისმა ახლობელმა ადამიანმა. გამოძიებამ განაცხადა, რომ მანქანაში ნაპოვნი იარაღი ის იარაღია, რომელიც სიკვდილის დღეს შეიძინა კიწმარიშვილმა. თუმცა, გამოძიება არ ამბობს, რომ ეროსი მანქანაში ნაპოვნი იარაღით არის მოკლული. შესაძლოა, მკვლელმა საკუთარი იარაღი გამოიყენა და ამ ვერსიას ერთი გარემოებაც ამყარებს. გარდაცვლილის ძმა, ზურაბ კიწმარიშვილი აცხადებს, რომ მანქანაში ნაპოვნ იარაღზე სისხლის კვალი არ შეინიშნება. თუ ეს ასეა და საფუძველი არ გვაქვს, ზურაბ კიწმარიშვილის ნათქვამში ეჭვი შევიტანოთ, გამოდის, რომ ეროსი კიწმარიშვილი მართლა სხვა იარაღით არის მოკლული. უბრალოდ, შეუძლებელია, ადამიანს საფეთქელზე იარაღი მძლავრად მიაბჯინო, ესროლო და იარაღზე სისხლის კვალი არ აღმოჩნდეს. მეტიც, სულაც მიბჯენით რომ არ ესროლათ კიწმარიშვილისთვის, ნარტყვიარიდან გამოტყორცნილი სისხლის შხეფები აუცილებლად მოხვდებოდა იარაღს. არადა, ექსპერტი აცხადებს, რომ მიბჯენით აქვს ნასროლიო და ამით უკვე ისიც ნათქვამია, რომ იარაღი სისხლიანი უნდა ყოფილიყო. კი, შესაძლოა, დავუშვათ ვერსია, რომ მკვლელმა მკვლელობის შემდეგ, იარაღი გაწმინდა არა იმიტომ, რომ მასზე მოკლულის სისხლის კვალი არ დარჩენილიყო. მკვლელებს ეს არ ადარდებთ. თუ მკვლელმა იარაღი გაწმინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე მისივე თითების ანაბეჭდი წაშლილიყო, სისხლის კვალის წაშლას, არ დაიწყებდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, მივდივართ იქითკენ, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული მკვლელობა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის ახლობელმა ჩაიდინა.

ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის შემდეგ განიხილავენ არაერთ ვერსიას, სოცქსელში არ წყდება კამათი ამ მკვლელობის შესახებ. ბევრი ამტკიცებს, რომ კიწმარიშვილი საკუთარი იარაღით არის მოკლული, მიუხედავად იმისა, რომ ამ იარაღზე სისხლის კვალი არ იყო. მოდით, ერთი წამით დავუშვათ, რომ კიწმარიშვილი მისივე იარაღით არის მოკლული და არა მკვლელის. ეს არსებითად არაფერს სცვლის. სურათი იგივეა. მკვლელი მიდის ავტოსადგომზე, მანქანაში უჯდება და მერე, მისივე იარაღით კლავს. ეს ვერსია ერთი მხრივ მართლა საყურადღებოა. თუ მართლა ასე მოხდა, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მკვლელი ეროსის ძალიან ახლობელია, მანქანაში ხომ ჩაისვა და მეტიც, იმდენად ახლობელია, რომ საკუთარი იარაღის ხელში აღების ნება მისცა. თუმცა, ამ ვერსიას სუსტი მხარე აქვს. თუ ეს იყო დაგეგმილი მკვლელობა, ასეთ შემთხვევაში, მკვლელობის შემსრულებელი იარაღს არ შეცვლიდა, რითიც დაგეგმილი იყო მკვლელობა, იმ იარაღს გამოიყენებდა, რომლითაც მივიდა კიწმარიშვილის მოსაკლავად. ორგანიზებული მკვლელობის დროს, ერთი კი არა, 10 იარაღი რომ დახვედროდა მკვლელს მანქანაში, ხელს არ მოკიდებდა და მაინც საკუთარით ესროდა. თუ მაინცდამაინც იმ ვერსიას „მივაწვებით“, რომ კიწმარიშვილი მისივე იარაღით მოკლეს, მაშინ ორგანიზებული, დაგეგმილი მკვლელობის ვარიანტი მოიკოჭლებს.



„გამოძიების ოფიციალური ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იყო კიწმარიშვილის კუთვნილი იარაღი. შესაბამისად, თუ შემთხვევის ადგილზე მხოლოდ ეროსის იარაღი იყო, მაშინ, თეორიულად დასაშვებია, მკვლელობა თუ თვითმკვლელობაც ამ იარაღით მოხდა“



ავტოსადგომზე, სადაც ეს უბედურება მოხდა, სათვალთვალო კამერა შეტრიალებულია და რადგან ის დამტვერილი იყო, მასზე ნათითურები შეინიშნება. ეს სწორედ ის სათვალთვალო კამერაა, რომლის არეალშიც ავტოსადგომის ის მონაკვეთი უნდა ყოფილიყო მოქცეული, სადაც კიწმარიშვილი მანქანას აყენებდა, სადაც მისი მანქანის ადგილი იყო. გამოდის, ვიღაცამ წინასწარ იზრუნა იმაზე, რომ კამერას არ დაეფიქსირებინა

**თუ ეს იყო დაგეგმილი მკვლელობა, ასეთ შემთხვევაში, მკვლელობის შემსრულებელი იარაღს არ შეცვლიდა, რითიც დაგეგმილი იყო მკვლელობა, იმ იარაღს გამოიყენებდა, რომლითაც მივიდა კიწმარიშვილის მოსაკლავად. ორგანიზებული მკვლელობის დროს, ერთი კი არა, 10 იარაღი რომ დახვედროდა მკვლელს მანქანაში, ხელს არ მოკიდებდა და მაინც საკუთარით ესროდა**

ამ შემთხვევაში ერთადერთი ვარაუდი რჩება. პიროვნება, რომელიც ეროსის შეხვდა და მანქანაში ჩაუჯდა, მის მოსაკლავად არ იყო მისული. ისინი შელაპარაკდნენ, კამათმა მწვავე სახე მიიღო, მკვლელმა ეროსის იარაღი აიღო და მოკლა. თუმცა, თუ გავიხსენებთ შეტრიალებულ კამერას და მასზე დამჩნეულ თითების კვალს, მაშინ რითიც დავიწყე, ისევ იქამდე მივალთ – ეს იყო კარგად ორგანიზებული მკვლელობა, განხორციელებული მკვლელის კუთვნილი იარაღით. იმ ინფორმაციების საფუძველზე, რომლებიც ცნობილია, ეს ჩანს ყველაზე დამჯერებელ და არგუმენტირებულ ვერსიად.

ლევან ჯავახიშვილი
5 77 51-73-37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ადგილობრივ კადრებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს“



უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი იმ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა, რომლითაც კონკურსებისა და ატესტაციების ერთ-ერთი სავალდებულო ეტაპის – ტესტირების ჩატარება ადგილობრივი ორგანოების გარეთ მოხდეს. ის მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის ორგანოები მთელ ამ პროცესში სრულყოფილად უნდა იყოს ჩართული.

„ადგილობრივი საჯარო მოხელის შერჩევაში, რომელიც ეტაპებისგან შედგება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სრულყოფილად უნდა მონაწილეობდნენ. წარმოდგენილი პროექტით ჩვენ თვითმმართველ ორგანოებს ამის უფლებას ვართმევთ. მოხდეს უნიფიცირებული ტესტების დარიგება ადგილებზე და არა ამ ადამიანების თბილისში ჩამოყვანა, ან ადგილებზე, ტესტირების რომელიმე მონოპოლიზებული სტრუქტურის მიერ ჩატარება. თუკი პროცესის გამჭვირვალობა გვინდა, ვინ უშლის ხელს, რომ ადგილზე მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარდეს და დამკვირვებლები ჩაბრძანდნენ და დააკვირდნენ, როგორ ტარდება ტესტირება. ისეთი კანონები უნდა მივიღოთ, რომ თვითმმართველობის ორგანოების მიმართ გავზარდოთ ნდობა. მათზე უნდა იყოს პასუხისმგებლობის ტვირთი, აყვანილი კადრების პატიოსნებასა და კვალიფიკაციაზე და არა ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავისი კადრების აყვანაზე უნდა იზრუნოს, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადგილობრივ კადრებზე. რა, არ ვენდობით ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ისინი ტესტირებას პატიოსნად ჩაატარებენ?! დამისახელეთ ერთი მიზეზი, რატომ არ შეიძლება ტესტირება ადგილზე ჩატარდეს? პროექტის განმარტებით ბარათში წერია – ნეპოტიზმი. ნეპოტიზმის საფრთხე თბილისშიც არსებობს“, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

დეპუტატის მოსაზრებას არ დაეთანხმნენ მისი კოლეგები. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ ტესტირებების გარეთ გატანის კარგ პრაქტიკად და მაგალითად უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების უნივერსიტეტებს გარეთ გატანა დაასახელა.

„მისაღებ გამოცდებში ათეული წლების განმავლობაში მიმიღია მონაწილეობა. ვიცი, რაც ხდებოდა ზოგან, ყველგან – არა. ერთია, როდესაც ზოგადად, გაუპიროვნებლად საგარეჯოს, თელავის, ზესტაფონის, ქუთაისის თვითმმართველობების საჯარო მოხელეობის კანდიდატებს ერთ ადგილას, ერთ ცენტრში უტარდებათ ტესტირება და მეორეა, როდესაც კონკრეტული ადგილის მოხელეებს ტესტირება იქვე უტარდებათ და იგივე ხალხი ატარებს. პრობლემა არის მათ შორის ნეპოტიზმიც“, – განაცხადა ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ნიკა გვარამია ადასტურებს, რომ „60 წუთზე“ კიწმარიშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ადასტურებს, რომ გადაცემა „60 წუთის“ აღდგენასთან დაკავშირებით ეროსი კიწმარიშვილთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

„ვადასტურებ, რომ ეროსი კიწმარიშვილთან მქონდა მოლაპარაკებები გარკვეული ფორმატების შესახებ, მათ შორის ერთ-ერთ ფორმატად იხილებოდა „60 წუთი“. მოლაპარაკების რეჟიმში ვიყავით... პერსონალურად მე არ შევხვედრივარ ეროსის, სხვა ფორმით გვქონდა ეს მოლაპარაკებები, სხვადასხვა ადამიანების მეშვეობით. ბოლო მოლაპარაკება იყო არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე“, – განაცხადა გვარამიამ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გაშვებით დენი გიაფდება?

„თუ სახელმწიფოს უნდა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება გაუმჯობესდეს, ტარიფები აუცილებლად უნდა გაიზარდოს“. – ეს „ისტორიული სიტყვები „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, ნიკოლაი ნიკოლოვს ეკუთვნის. მისი თქმით, მან მარეგულირებელ კომისიას წარუდგინა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ახალ ტარიფებსა და კომპანიის გამჭვირვალე მოთხოვნილებებს ეხება. საქმე ის არის, რომ 2014 წლის ბოლოს უნდა გადაიხედოს სახელმწიფოსა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დადებული ხელშეკრულება, რაც შესაძლებელია, ამ უკანასკნელის კრახით დამთავრდეს.

**როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სწორედ ამიტომ მიდის შანტაჟზე გაურკვეველი წარმოშობის კომპანიის ხელმძღვანელობა და აცხადებს, თუ საჭიროა ინვესტიციები, მაშინ ტარიფი უნდა გაიზარდოსო.**

**— სერგო, მაშინ, როცა ხელისუფლების მხრიდან იყო დაპირებები, რომ დენის ტარიფი შემცირდებოდა, „ენერგო-პრო ჯორჯია“ აკეთებს საწინააღმდეგო განცხადებებს. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა არ იგეგმება და ეს იყო მიზანმიმართული კამპანია, რომელიც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა. როგორც კახი კალაძე ამბობს, მისთვის გაუგებარია, რა მიზეზით აკეთებს ამას ნიკოლაი ნიკოლოვი. მე მგონი, ამ ყველაფერს პოლიტიკური შანტაჟის სუნი უდის.**

– კი, 2012 წლის არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილიც ხშირად ლაპარაკობდა, რომ დენის ტარიფი შემცირდებოდა, მაგრამ „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და ეს ვერაფრით ვერ მოახერხა, პრობლემა გახდა „ენერგო-პრო ჯორჯია“. ზურაბ ნოღაიდელის პრემიერობის დროს გაფორმდა ასეთი ხელშეკრულება: 2007 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე ტარიფის გადახედვა არ მოხდებოდა. თუკი ენერგეტიკის სამინისტრო ამას მოისურვებდა, ეს ჩეხური კომპანია სასამართლოში იჩივლებდა და ქვეყანა დაჯარიმდებოდა.

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საქართველოში აქვს ნაყიდი 8 ჰესი და ჩვენივე დენში დაახლოებით ორჯერ მეტს გვახდევინებს, ვიდრე სხვა ჰესებიდან ვიღებთ. ამ კომპანიის განცხადებაში მე უფრო პოლიტიკა დავინახე, ვიდრე რამის გაკეთების სურვილი. ესენი მიხვდნენ, რომ შეიძლება მთავრობამ რაღაც-რაღაცების გადახედვა მართლა მოინდომოს და თავს იზღვევენ, ბოლოს და ბოლოს, კი არ გაიაფდება, უნდა ვეხვეწოთ, რომ ტარიფი იგივე დარჩეს. არადა, ბევრი საკითხია გადასახედი, ეს უკვე დღის წესრიგში დგება.

**— კონკრეტულად რა საკითხია გადასახედი?**

– მაგალითად, თუკი სხვა ელსადგურებიდან გენერაციაში ჩვენ ვიხდით 1,2 თეთრს, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჰესებიდან გამომუშავებულ ელექტროენერგიაში ვიხდით 2,8 თეთრს. ხედავ, რამხელა სხვაობაა? საბოლოო ჯამში, ეს ძალიან დიდი თანხაა. ახლა იძახიან, ქსელები ცუდ დღეშია, სარემონტოა, ინვესტიციები უნდა ჩაიდოს და ტარიფი გაძვირდესო. მე სახელმწიფოს ადგილზე ვიმოქმედებდი სხვანაირად – გამოსაძიებელია, როგორ და რა ფასებში

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ENERGO-PRO

**ახლა ხელისუფლებამ მარჩიელობა კი არ უნდა დაიწყოს, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აუდიტები უნდა ჩაუსხდნენ და ყველაფერი შეისწავლონ. დარწმუნებული ვარ, იქ ძალიან ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ. მე ვსვამ შეკითხვას: როგორ შეიძლება, ენგურჰესი 1 კილოვატს გვაძლევდეს 1,2 თეთრად, ხოლო „ენერგო-პრო ჯორჯია“ — 2,8 თეთრად? მაშინ, როცა ამ კომპანიას თითქმის სამჯერ მეტი მიაქვს, რატომღა გვიცხადებს, კიდევ დამიმატეთო?**

# „მაგთიკომმა“ მომსახურების 47-ე ოფისი გახსნა



კიდევ უფრო კომფორტული მომსახურებისთვის, „მაგთიკომმა“ მომხმარებლებისთვის რიგით 47-ე, ხოლო თბილისის მასშტაბით – მე-12 ოფისი გახსნა.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, ახალი ოფისი მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით გაიხსნა, რომელიც ალმაშენებლის №109-ში მდებარეობს და სადღესასწაულო დღეების გარდა, ყოველდღე 09:00-დან 21:00 საათამდე (შაბათ-კვირას 09:00-18:00) იმუშავებს.

ერთი ფანჯრის პრინციპი, რიგის მარეგულირებელი და ოფისის მუშაობის სტილი – მიზნად ისახავს მომსახურების მაქსიმალურ გამარტივებას.

მიუხედავად იმისა, რომ „მაგთიკომის“ მომხმარებლებს დამოუკიდებლად შეუძლიათ სერვისების მართვა მობილურიდან ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან.



ახალი ოფისის გახსნის დღეს, როგორც სჩვევია ხოლმე, კომპანიამ მომხმარებელს მორიგი სიურპრიზი მოუწყო – სხვებთან ერთად, დაასაჩუქრა თამარ ჭეიშვილი, რომელიც 1998 წლიდან „მაგთიკომის“ ერთგული აბონენტია.

– ,,მაგთი“ ჩემთვის დღემდე განუყრელია, მასთან საოცარ კავშირს ვგრძნობ და ეს ბუნებრივიცაა – 16 წელიწადია, არ გადავსულვარ სხვა ქსელებზე. ვფიქრობ, რომ ერთგულება ამ ურთიერთობაშიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ ,,მაგთიკომი“ ყველაზე საიმედო ქსელია საქართველოში, რომელიც ბაზარზე უპირობო ლიდერია. მირჩევნია აქ ვიყო, ბოლომდე ერთგულად დავრჩე და ამიტომაც სხვა ქსელებზე გადართვა არც მიფიქრია. გარდა იმისა, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებას მთავაზობს, ახალი ოფისი ჩემთვის ადგილმდებარეობითაც მოსახერხებელია, აქ ჩემი მშობლიური უბანია, რომელსაც ყოველდღიურად ვსტუმრობ, – ამბობს „მაგთის“ ერთგული აბონენტი.



აქვე იმასაც დავამატებთ, რომ „მაგთიკომს“ შექმნილი აქვს მომსახურების ფართო ქსელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – 47 ოფისიდან თბილისში ფუნქციონირებს 12 ოფისი, რეგიონებში – 35. მათ გარდა, მომხმარებელს ემსახურება 5 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი, ასევე, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები.

დღეისთვის მაგთიკომი 5 ბრენდით – მაგთი, ბალი, ბანი, მაგთი ფიქსი და მაგთისატი – 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

**თათული ღვინიაშვილი, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– ახალი ფილიალისთვის მდებარეობა შემთხვევით არ შერჩეულა, აბონენტები ყველანაირი ტიპის მომსახურებას, გადახდის ჩათვლით, მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას, კომფორტულ გარემოში მიიღებენ.

„მაგთიკომი“ ზრუნავს თავის მომხმარებელზე, რომელთა რაოდენობა უკვე 3 მილიონს აჭარბებს. ჩვენი მიზანია, აბონენტებს ,,მაგთიკომის“ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა გავუზარდოთ. ამიტომ კიდევ ერთი ოფისი გაიხსნა, ამჟამად უკვე ალმაშენებლის გამზირზე.

მიუხედავად იმისა, რომ ,,მაგთიკომის“ სერვისების მართვა მომხმარებელს დამოუკიდებლად, ინტერნეტიდან ან მობილურიდინაც შეუძლია ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან.

**მიხეილ სახვაძე**

*მეხუთე გვერდიდან*

გაიყიდა 8 ჰესი, რა პირობებით არის შესყიდული? ჩემი ინფორმაციით, არის რაღაც პირობები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს შეუძლია, ეს ჰესები დაიბრუნოს. 2014 წლამდე ამათ ვერაფერზე ვერ დაელაპარაკებოდი, ეს ვერ გაითვალისწინა „ქართულმა ოცნებამ“ და ამიტომაც ვერ შეასრულა დაპირება. ახლა ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი და მეტიც, იქით შეიძლება მიწოლა. როდესაც კერძო კომპანიას აძლევ 8 ჰესს მესამედ ფასში და თან ხელშეკრულებაში უწერ, 8 წლის განმავლობაში ტარიფი არ გადაიხედება, არ გეკითხები, რაც გინდა, ის გააკეთეო, ეს რას ნიშნავს? თუკი ამ ჰესებს სახელმწიფო დაიბრუნებს, მაშინ შესაძლებელია, რომ მინიმუმ, 3-თეთრით დენი გაიაფდეს. ახლა არის ლაპარაკი, თუ „ენერგო-პრო ჯორჯია“ მაინც მოახერხებს და ტარიფს გაზრდის, მაშინ ამ სხვაობას მთავრობა დაფარავს ბიუჯეტიდან და ხალხი ვერაფერს იგრძნობს. ეს არასწორი მიდგომაა, ბიუჯეტი ხალხის ჯიბიდან ივსება და გამოდის, რომ ვიღაცას, რომელიც ღმერთმა არ იცის, სად არის დარეგისტრირებული, ისევ ხალხის ფული უნდა გავატანოთ. ეს თანხები სხვა რამეს რომ მოხმარდეს, უკეთესი არ იქნება? აქვე სათქმელია ისიც, რომ „ნაციონალების“ მმართველობის დროს ყველა ობიექტი სხვისდებოდა ოფიციალური და არაოფიციალური პირობებით, აქაც იყო ასეთი მომენტები ჩადებული – ჯერ იყო გამოცხადებული, რომ იყიდებოდა ამდენად და ამდენად, მერე გაიყიდა იმაზე სამჯერ ნაკლებად. ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა ამოყაროს და შეისწავლოს. როგორც ვიცი, ოფიციალური პირობა იყო, რომ ერთი 100-მეგავატიანი ჰესი უნდა აშენებულიყო, მაგრამ არსად ჩანს.



„2012 წლის არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილიც ხშირად ლაპარაკობდა, რომ დენის ტარიფი შემცირდებოდა, მაგრამ „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში და ეს ვერაფრით ვერ მოახერხა, პრობლემა გახდა „ენერგო-პრო ჯორჯია“. ზურაბ ნოღაიდელის პრემიერობის დროს გაფორმდა ასეთი ხელშეკრულება: 2007 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე ტარიფის გადახედვა არ მოხდებოდა. თუკი ენერგეტიკის სამინისტრო ამას მოისურვებდა, ეს ჩეხური კომპანია სასამართლოში იჩივლებდა და ქვეყანა დაჯარიმდებოდა“

**— კალაძემ თქვა, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებებს მშვენივრად იყენებს „ნაცმოძრაობა“, „რუსთავი 2“ ატრიალებს ამ ინფორმაციას და მოსახლეობას არწმუნებს, რომ დენის ტარიფი ძვირდება, მაგრამ არ გაიზრდებაო.**

– ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ხელისუფლების ზოგიერთი წევრის გაუაზრებელმა ლაპარაკმა, თუ კომპანია დენს გააძვირებს, ჩვენ ამას სუბსიდირებას გავუკეთებთო. არ შეიძლება, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო გადავიდეს თავის მართლების რეჟიმში და წავიდეს ყველანაირ კომპრომისზე. „ნაცების“ დროს მსგავსი განცხადება უცხოელ ინვესტორს რომ გაეკეთებინა, რასაც საბოტაჟის სუნი აუვიდოდა, დედას უტირებდნენ. ახლა ხელისუფლებამ მარჩიელობა კი არ უნდა დაიწყოს, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აუდიტები უნდა ჩაუსხდნენ და ყველაფერი შეისწავლონ. მე დარწმუნებული ვარ, იქ ძალიან ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ. მე ვსვამ შეკითხვას: როგორ შეიძლება, ენგურჰესი 1 კილოვატს გვაძლევდეს 1,2 თეთრად, ხოლო „ენერგო-პრო ჯორჯია“ – 2,8 თეთრად? მაშინ, როცა ამ კომპანიას თითქმის სამჯერ მეტი მიაქვს, რატომღა გვიცხადებს, კიდევ დამიმატეთო? მე ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დავიწყე „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შესწავლა და აღმოჩნდა, რომ ჩეხური კომპანიაა, დარეგისტრირებულია ესპანეთში და თანაც ისე, რომ ვერაფერს გაიგებ, რეგისტრაციის ნომერიც კი არ ჩანს. ძალიან მაინტერესებდა, ვინ იდგა ამ კომპანიის უკან, ყველაფერი ისეა გასაიდუმლოებული, არაფრის გარკვევა არ ხერხდება.



„აი, რას ნიშნავს პრემიერისა და ვიცე-პრემიერის განცხადებები, ჩეხებმა თუ ესპანელებმა ეგრევე „დაზადნეს“ და იძახიან, ტარიფის გადახედვა ტარიფის ზრდას არ ითვალისწინებსო“

**— შენ ამბობ, რომ ეს ბნელით მოცული კომპანიაა?**

– დიახ, ამას პირდაპირ გეუბნები... გაიხსენე 2007 წელი, „ნაციონალების“ პერიოდი, ნოღაიდელს ვინ მისცემდა იმის უფლებას, რომ 8 ჰესი თვითნებურად გაეყიდა ჩალის ფასად? აქ კიდევ იყო ვიღაცის ინტერესები და სწორედ ეს არის გამოსაძიებელი.

„ნაციონალების“ მმართველობის დროს ყველა ობიექტი სხვისდებოდა ოფიციალური და არაოფიციალური პირობებით, აქაც იყო ასეთი მომენტები ჩადებული — ჯერ იყო გამოცხადებული, რომ იყიდებოდა ამდენად და ამდენად, მერე გაიყიდა იმაზე სამჯერ ნაკლებად. ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა ამოყაროს და შეისწავლოს. როგორც ვიცი, ოფიციალური პირობა იყო, რომ ერთი 100-მეგავატიანი ჰესი უნდა აშენებულიყო, მაგრამ არსად ჩანს“

**პრემიერ-მინისტრის ნათქვამმა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ უფროსობა ცოტაოდენ ჩააფიქრა და უცებ „გამოცხვა“ კიდეც ოფიციალური განცხადება:**

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ არ აქვს ინფორმაცია სექტემბრიდან ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით, რადგან ტარიფთან დაკავშირებული საკითხი ჯერ კიდევ განიხილება. 2014 წლის სექტემბერში ვადა გასდის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებულ მემორანდუმს ტარიფთან დაკავშირებით, შესაბამისად, კომპანიამ სემეკს მიმართა განაცხადით ტარიფის გადახედვის თაობაზე. ტარიფის გადახედვა ცალსახად არ ითვალისწინებს ტარიფის ზრდას“.

აი, რას ნიშნავს პრემიერისა და ვიცე-პრემიერის განცხადებები, ჩეხებმა თუ ესპანელებმა ეგრევე „დაზადნეს“ და იძახიან, ტარიფის გადახედვა ტარიფის ზრდას არ ითვალისწინებსო. ისე, სიმართლეს ამბობს სერგო ჯავახიძე, ამათ თადარიგი დაიჭირეს, ემანდ ტარიფი არ შეგვამცირებინონო და ახლა მართლა მადლობა უნდა ვუთხრათ, იგივეს რომ დაგვიტოვებენ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაცია აგვისტოს პირველ ნახევარში დაიწყება



ილია ჭავჭავაძის ძეგლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ ნახევარში დაიწყებს. ფონდის ცნობით, ამჟამად მათი დაკვეთით საპროექტო კომპანია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში მდებარე ილია ჭავჭავაძის ძეგლის რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტზე მუშაობს. ვინაიდან საუბარია ძეგლის რეაბილიტაციაზე, პროექტირება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რათა მოხდეს სწორი პროექტის შემუშავება.

საპროექტო კომპანიამ უკვე წარმოადგინა ვიზუალური მასალა – „რენდერები“, თუ როგორი იქნება ილია ჭავჭავაძის ძეგლი რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ. (ნიუპოსტი)

## მოსკოვის მეტროში მომხდარ კატასტროფაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს



მოსკოვის მეტროში მომხდარ კატასტროფაში ეჭვმიტანილი ორი პირი სამართალდამცავებმა დააკავეს. ავარიის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

დაკავებულთაგან ერთ-ერთი „მოსკოვის მეტროს“ თანამშრომელი ვალერი ბაშკატოვია. მეორე კი მისივე დამხმარე იური გორდოვი გახლავთ. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ეჭვმიტანილთა რაოდენობა შესაძლოა, გაიზარდოს.

ოთხშაბათი მოსკოვში გლოვის დღედ გამოცხადდა. ავარიის შედეგად ორასზე მეტი ადამიანი დაშავდა. 8 დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, 47-ის – მძიმე, 150 დაშავებული კი სხვადასხვა სახის დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებებში არიან გადანაწილებული.

ჯერჯერობით უცნობია მომხდარის ზუსტი მიზეზი. საქმეზე გამომძიებლები და ტექნიკური ექსპერტები მუშაობენ. (ნიუპოსტი)

## „ერგნეთის ბაზრობის გახსნა ასოცირების ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში არ იქნება“




შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ერგნეთის ბაზრობის გახსნა ასოცირების ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში არ იქნება.

„გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის და გადაწყვეტილების რეალიზაციაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ლაპარაკია იმაზე, რამდენად მიზანშეწონილია, სად, როგორ და რა ფორმით იქნება. ერგნეთის ბაზრობაზე პირობითად ვლაპარაკობთ, რათა წარმოდგენა გვქონდეს, რაზე ვსაუბრობთ. შეიძლება სხვაგან იყოს, იქ, სადაც უკეთესი იქნება, მაგრამ ვნახოთ, სად, როგორ, რა ფორმით შეიძლება ამ ტიპის ბაზრობა გამართლებული იყოს“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.
(kvira.ge)

# დავით წიქარიშვილი: „ბენდუქიძე შედის მინისტრთან და თავზე ახურებს ყველაფერს, როგორ ბედავ, რომ გზავნი მონიტორინგის სამსახურსო“

**„ალიას“ ესაუბრება განათლების დამოუკიდებელი ექსპერტი დავით წიქარიშვილი:**

– ჩემთვის ცნობილი გახდა ერთი ძალიან საინტერესო ამბავი, რაც განათლების სამინისტროს ეხება და რასაც ახლა მოგიყვებით. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მონიტორინგის სამსახურში ამ ცოტა ხნის წინ შევიდა საჩივარი, რომელსაც, ჩვენი ინფორმაციით, ხელს დაახლოებით 30 სტუდენტი აწერდა, რომლებიც ბენდუქიძის „თავისუფალი უნივერსიტეტიდან“ იყვნენ მისულები და ჩიოდნენ, რომ უნივერსიტეტში ყველა სტანდარტი დარღვეულია: ლექციები ცდება, გამოცდის აღდგენა არ უტარდებოდათ, ბიბლიოთეკაში ის წიგნები არ იყო, რასაც სილაბუსები მოითხოვდა და ეს ყველაფერი იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ცენტრის მიერ განხორციელებულიყო მონიტორინგი. ცენტრის ხელმძღვანელმა ელენე ჯიბლაძემ გამოყო მონიტორინგის ჯგუფი და მეორე დღეს ხდება ამბავი: წასასვლელად გამზადებული რომაა მონიტორინგის ჯგუფი, თავად ბენდუქიძე, ამ უნივერსიტეტის დამფუძნებელი, შედის მინისტრთან და თავზე ახურებს ყველაფერს, როგორ ბედავ, რომ ჩემს უნივერსიტეტში, რომელიც რეიტინგით პირველი ადგილზეა საქართველოში, გზავნი მონიტორინგის სამსახურსო. იქ იყო ასევე შემდეგი სიტყვები, გახსოვს, აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით რა დღე გაყარე, ახლა უარესს გიზამო.

**— საიდან იცით ეს ყველაფერი?**

– ეს ყველაფერი იცის მთელმა სამინისტრომ. მოკლედ, მინისტრი დაფრთხა და შეშინდა, რადგანაც საქმის არსი არ იცოდა. ეტყობა, ცენტრის დირექტორმა ვერ მოასწრო, მინისტრი გაეფრთხილებინა და ბენდუქიძემ უშვერი სიტყვების ყვირილით მოახერხა, მინისტრისთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა. მოკლედ, დაირეკა და ჯგუფი შეჩერდა გზაში. ამის შემდეგ, წავიდა წნეხი მონიტორინგის სამსახურზე, რადგანაც დირექტორი ელენე ჯიბლაძე ამბობს, ეს ჯგუფი არ გამიგზავნია უნივერსიტეტში და ამ სამსახურმა შეცდომაში შემიყვანა, თორემ ამას როგორ ვიზამდიო. ახლა სამინისტროს აუდიტი სწავლობს, რატომ შევიდა, უფრო სწორად, რატომ გადაწყვიტა ჯგუფმა ბენდუქიძის სასწავლებლის შემოწმება.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მონიტორინგის სამსახური არ ერევა პოლიტიკურ პროცესებში, თუ რომელი უმაღლესი სასწავლებლის უკან ვინ დგას, და თუ არსებობს საჩივარი, ის ვალდებულია, საკითხი შეისწავლოს. როგორია თავად მონიტორინგის პროცედურა?**

– ნამდვილად არ ერევა პოლიტიკაში და, თუ დარღვევა მოხდა, ეს სამსახური წერს მოხსენებით ბარათს და ამის შემდეგ უკვე იწერება ბრძანება გასვლაზე.

**— და ეს ბრძანებაც ხომ დაწერილი იყო, თქვენი საუბრიდან რაც ჩანს?**

– დაწერილი როგორ არ იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო შეიცვალა ეს ბრძანება. დღეს იმ 30 სტუდენტის საქმე გაჩერებულია და თაროზეა შემოდებული. ანუ, ფაქტობრივად, ხდება უნივერსიტეტების გადარჩევა, ვის უკან დგას ვინმე მნიშვნელოვანი ფიგურა და ვის არ ჰყავს პატრონი. ამ დროს რა მონიტორინგის საქმეა, არკვიოს პოლიტიკაშია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, თუ – არა? ეს სამსახური, წესით, უყურებს კანონს. რახან შევიდა ინფორმაცია უმაღლეს სასწავლებელში დარღვევების შესახებ, უნდა გადამოწმდეს.

**— რისი შეეშინდა კახა ბენდუქიძეს? მონიტორინგს ხომ ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების უფლება არ აქვს?**

– კი, მაგრამ ცენტრში, ჩემი ინფორმაციით, წავიდა იმაზე ლაპარაკი, რამდენად ღირდა, ვიღაც ცინგლიანი სტუდენტების ჭკუაზე გაევლოთ.

**— რას ნიშნავს, ცინგლიანი სტუდენტები? ცენტრმა არ იცის, რომ სტუდენტისთვის ხდება ყველაფერი და რომ განათლების სამინისტროში მთავარი სუბიექტი და ამოსავალი წერტილი სტუდენტია? სხვა ვინ უნდა ყოფილიყო მომჩივანი? სტუდენტი ცდილობს, ხარისხიანი სწავლა მიიღოს.**

– და ამისთვის იხდის დიდძალ ფულს, ეს არ დაგავიწყდეთ და აქ სწავლის გადასახადი კი 6000 ლარია. როგორც გავიგე, სტუდენტები უჩიოდნენ კონკრეტულ ლექტორს, რომელიც დაბალკვალიფიციურია და საერთოდ არ ასწავლის მათ, ესაა საერთაშორისო ურთიერთობების ლექტორი, რომელმაც მარტო ერთხელ ჩაატარა ლექცია და სტუდენტების კითხვაზე, რით განსხვავდება რეალიზმი ნეორეალიზმისგან, პასუხი იყო, როგორც მწვანე კიტრი მჟავე კიტრისგანო. აი, ამ ერთი ლექციის შემდეგ სტუდენტებს ეს ადამიანი თვალით არ უნახავთ. სტუდენტები ცენტრში მისვლამდე მისულან ბენდუქიძესთან და უთხოვიათ, ეს ადამიანი აღარ დაგვინიშნოთო, მაგრამ ხსენებული ლექტორი ყოფილა კახა ბენდუქიძესთან დაახლოებული ფიგურა და ეს ადამიანი დაიცვა. ლაპარაკია თამარ კოვზირიძეზე, რომელიც კახას მინისტრობის დროს მისი მოადგილე იყო სამინისტროში.

**— თუ იცით, მონიტორინგის სამსახურის მოვალეობაში ლექტორის კომპეტენციის დაყენების უფლება შედის?**

– ცხადია. მაგ დროს პირადი საქმის შესწავლა მიდის, რამდენად კვალიფიციურია საგნის ლექტორი, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვნად მეჩვენება ის ფაქტი, რომ რომელიმე ფიგურას შეუძლია, შევიდეს და სანიკიძეს აზრი შეაცვლევინოს.

**— აქვს თუ არა ცენტრს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება განათლების სამინისტროსთან შეუთანხმებლად?**

– ესაა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი და ნამდვილად არის სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაგრამ სსიპ-ია და გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს დირექტორი, მინისტრს კი უფლება არ აქვს, გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

**— საინტერესოა, ჯგუფი უნივერსიტეტში უკვე შესული რომ ყოფილიყო, მაშინ რა მოხდებოდა?**

– საქმე უფრო გართულდებოდა, მაგრამ ბენდუქიძემ მოასწრო და დილით მივიდა სამინისტროში. თავად ფორმაა საინტერესო, რასაც აკეთებს ბენდუქიძე და, რაც სამინისტროს ძალიან ცუდად წარმოაჩენს. ბენდუქიძის მაგალითზე ნებისმიერ სხვა უნივერსიტეტს გაუჩნდება პრეტენზია, მე რას მერჩით და ჩემთან რაღას შემოდიხართო? ამ შემთხვევაში სულ ერთია, ვინც აჩერებს ჯგუფს, ბენდუქიძე, რომელიმე „ნაციონალი“, თუ „ოცნების“ წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია მინისტრს ეძახოს, შენ მე რა უნდა მიქნა, როცა პროკურატურამ ვერაფერი დამაკლოო? რატომ უნდა მოუხადოს მინისტრმა ბენდუქიძეს ბოდიში, გამოდის, სამინისტროს ძალიანაც ეშინია ბენდუქიძის, რადგანაც ამ კაცმა სულ თავები ახლევინა სანიკიძესა და ჯიბლაძეს ერთმანეთისთვის. როგორც მითხრეს, მონიტორინგის ჯგუფმა მისწერა ჯიბლაძეს, რომ საქმე მსვლელობაშია და ამის შესრულების ვალდებულება გვაქვსო, მაგრამ ჯიბლაძე არ სცემს პასუხს. არადა, საქმე ხომ დევს ღიად. ჯგუფს უთხრეს, წასვლა და ვიზიტი რა საჭირო იყო, ადგილიდან შეგვემოწმებინათო, მაგრამ ადგილიდან რა უნდა შეემოწმებინათ, ესეც საინტერესოა, რადგანაც კანონი ამას არ ითვალისწინებს. ბიბლიოთეკა როგორ უნდა ნახო დისტანციურად? სტუდენტები ამბობდნენ, აღდგენა არ ხდებაო გაცდენილისო და ეს ადგილზე უნდა ენახა ჯგუფს. მაგრამ ახლა სხვა საშიშროების წინაშე დადგა ეს ჯგუფი: მონიტორინგის ხალხს დაუწყეს ცენტრში შევიწროება და სამინისტროს აუდიტმა დაიწყო ამ საქმის შესწავლა. ჯერ არ არის ცნობილი, რა დასკვნას დადებს აუდიტი, მაგრამ ამ სამსახურის გაუქმებაზე დაიწყეს ლაპარაკი ჯიბლაძემ და სანიკიძემ.

**— თუ არის თქვენთვის ცნობილი, რომ ადრეც მომხდარა მსგავსი შემთხვევა, რომ მონიტორინგის ჯგუფი არ შეეშვათ შემოწმებაზე, როცა შესული იყო საჩივარი?**

– მაგდენი არ ვიცი, მაგრამ სანიკიძე კოვზირიძის ხსენებაზეც გამწარებულა ძალიან, ახლობლები ყოფილან და განრისხებულა, ვინ შეიტანა თამარის კომპეტენციაში ეჭვიო? მოკლედ, დიდი ამბებია: მონიტორინგს რომ დაედასტურებინა, რომ ამ ლექტორს არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მაშინ ბენდუქიძეს პროგრამის აკრედიტაცია გაუუქმდებოდა და ხომ ხვდებით, რას ნიშნავს ეს ნომერ პირველ უნივერსიტეტში? ამიტომ მოხდა მთელი ეს გოგლიმოგლი. გადაწყდა, რომ საერთოდ არ უნდა შესულიყო ჯგუფი, ბენდუქიძის რეიტინგს არაფერი არ უნდა დამუქრებოდა და მორჩა.

**ამის შემდეგ ვრეკავთ ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორთან, ელენე ჯიბლაძესთან, რომელიც ბოლომდე მისმენს და მპირდება, რომ საქმიანი შეხვედრის შემდეგ (შეხვერდაზე შევდივარო) კომენტარს გააკეთებს. ცოტა ხანში მიკავშირდება ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც მამცნობს, რომ სამინისტროს დავუკავშირდე, რადგანაც ეს მათი თემაა. ვუკავშირდები სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ ნატა ასათიანს:**

– სამინისტროში ნამდვილად არ ყოფილა კახა ბენდუქიძე და მინისტრს არ შეხვედრია, კამერები სულ ჩართულია და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ბენდუქიძე მოვიდა და გავლენა იქონია მინისტრზე, შეუძლია გადაამოწმოს. რაც შეეხება სტუდენტების წერილს, ნამდვილად შემოვიდა სტუდენტების წერილი, რომ ერთ-ერთი ლექტორი მუდამ აცდენდა ლექციებს და ასევე მითითებული იყო, რომ ბიბლიოთეკაში არ იყო საჭირო წიგნები. მოვახდინეთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება და წერილი გადავამისამართეთ სწორედ ხარისხის ცენტრში და ცოტა ხანში გვეცოდინება პასუხი. ჩვენი აუდიტი ახორციელებს გეგმურ შემოწმებას და ეს იყო ჩვეულებრივი პროცესი.

**ბოლოს კი სკანდალის მთავარ გმირს, კახა ბენდუქიძეს დავუკავშირდით:**

– ველოდებოდი სხვა ადამიანს და იმიტომ გიპასუხეთ. თქვენ „ალიაში“ წერთ და რა მნიშვნელობა აქვს ჩემს პასუხს, არ მაინტერესებს, რას იტყვით, ვიცი, უკვე ტყუილია...

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50





„რატომ უნდა მოუხადოს მინისტრმა ბენდუქიძეს ბოდიში, გამოდის, სამინისტროს ძალიანაც ეშინია ბენდუქიძის, რადგანაც ამ კაცმა სულ თავები ახლევინა სანიკიძესა და ჯიბლაძეს ერთმანეთისთვის. როგორც მითხრეს, მონიტორინგის ჯგუფმა მისწერა ჯიბლაძეს, რომ საქმე მსვლელობაშია და ამის შესრულების ვალდებულება გვაქვსო, მაგრამ ჯიბლაძე არ სცემს პასუხს“



„ბენდუქიძე, ამ უნივერსიტეტის დამფუძნებელი, შედის მინისტრთან და თავზე ახურებს ყველაფერს, როგორ ბედავ, რომ ჩემს უნივერსიტეტში, რომელიც რეიტინგით პირველი ადგილზეა საქართველოში, გზავნი მონიტორინგის სამსახურსო. იქ იყო ასევე შემდეგი სიტყვები, გახსოვს, აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით რა დღე გაყარე, ახლა უარესს გიზამო“

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ საწინააღმდეგო ხელმოწერები პარლამენტს გადაეცა

## რას აპირებს სამოქალაქო მოძრაობა, თუკი კანონის განხილვაზე უარს ეტყვიან?

**როგორც „ალიამ“ შეიტყო, „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ წინააღმდეგ საკანონმდებლო ინიციატივისთვის საჭირო ხელმოწერები შეგროვდა და პარლამენტს წარედგინა. რას აპირებენ სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლები, თუ პარლამენტი ამ ხელმოწერების იგნორირებას მოახდენს?**

**„ალია“ მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მიხეილ ანდღულაძეს ესაუბრა:**

**— ბატონო მიხეილ, რამდენი ხელმოწერა მოაგროვეთ?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ საზოგადოებაში იყო მძაფრი პროტესტის განცდა და არსებობდა სურვილი იმისა, რომ დიდი რაოდენობით ხელმოწერები შეგროვილიყო ამ კანონის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ეს ენერგია იმ მთავარი მიზნისთვის უნდა შენახულიყო, თუ პარლამენტი საზოგადოების სურვილის იგნორირებას მოახდენდა. 40 000-მდე ხელმოწერა შეგროვდა და კამპანია შევაჩერეთ, იმიტომ, რომ საკმარისი იყო ეს რაოდენობა, საკანონმდებლო ინიციატივისთვის სულ საჭირო იყო 30 000 ხელმოწერა.

**— ხელმოწერების ძირითადი ნაწილი სად შეგროვდა, თბილისში თუ რეგიონებში?**

– ძირითადი ნაწილი შევაგროვეთ მეტროსადგურებთან, კარვებში, გარკვეული რაოდენობა რეგიონებიდანაც შემოვიდა. თავისუფალი რეჟიმის მიხედვით მოგროვდა ეს ხმები, გვარის წინამძღოლებმა თავის გვარში გაავრცელეს ინფორმაცია და შესაბამისად, შეგროვდა ხმებიც.

**— ეკლესია იყო ამ პროცესებში ჩართული?**

– საქმე ისაა, რომ ეკლესიის დამოკიდებულება ცალსახად დაფიქსირდა პატრიარქის გამონათქვამებში, რომ მორწმუნე საზოგადოება ამ კანონს არ შეეგუება. ისინი თავისი სულისკვეთებით ყველანაირად გვიცხადებდნენ მხარდაჭერას, მაგრამ უშუალოდ როგორც საეკლესიო მსახურნი, ჩარეულიყვნენ ჩვენს საქმიანობაში და ხელმოწერები შეეგროვებინათ, ასე არ ყოფილა.

**— ხელმოწერების შეტანის დროს დეპუტატებთან ხომ არ გისაუბრიათ, ხომ არ გიკითხავთ, დაუჭერენ თუ არა მხარს კანონის გაწვევას ან გადახედვას?**

– 2 ივლისს შევიტანეთ. როგორ შეიძლება წინასწარი მოლაპარაკება გქონდეს იმ დეპუტატებთან, რომელნიც ერთხმად, რობოტებივით დაემორჩილნენ იმ დიქტატს, რომელიც განხორციელდა? არ შეიძლება დემოკრატია უწოდო პროცესს, როცა საზოგადოების ინტერესი, პატრიარქის მოწოდება იგნორირებული იქნა. როგორ შეიძლება თავს დაარქვა მრევლი და ქმედება განახორციელო ეკლესიის საწინააღმდეგოდ? ესე იგი, რომელიღაც შემთხვევაში მოიტყუეს. გულიწყრომა მკლავს იმ ხალხის მიმართ, როცა ვხედავ, ერთი კაცის მიერ როგორ ინიშნება პრეზიდენტიც, მერიც, მთავრობაც და პარლამენტიც. ერთი კაცი განსაზღვრავს და ამაზე ხალხს რეაგირება არ აქვს.

**— როდისთვის ვარაუდობთ პასუხის მიღებას პარლამენტისგან?**

– ვფიქრობთ, ამ ზაფხულს პარლამენტი თავს არ გამოიჩენს და თუ გამოიჩენს, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დროს. ალბათ, საშემოდგომოდ მოხდება განხილვა და დაგვიძახებენ.

**— თუ უარი მიიღეთ საკითხის განხილვაზე, რას აპირებთ, ამაზე შეთანხმებული ხართ?**

– ჩვენ არ ველოდებით შემოდგომას, დავიწყეთ რეგიონალური სტრუქტურების შექმნა. 700-ზე მეტი გვარის წინამძღოლი გვყავს. ამიტომ თითო საარჩევნო ოლქში რამდენი გვარიც იქნება, მათი წარმომადგენლები შექმნიან ჯგუფს. ამ სქემით თითო კაცს ექნება შესაძლებლობა, 10-15 კაცთან ჰქონდეს კონტაქტი. ერთი მესიჯი, რომელიც ცენტრიდან გაიგზავნება, 10-15 წუთის განმავლობაში ნახევარ მილიონ ადამიანს გახდის ინფორმირებულს. ეს ხალხი, დაძახებისთანავე, 1 საათში გამოვა გარეთ. თუ საქართველოს პარლამენტი ხალხის ნებას არ შეასრულებს, მაშინ საზოგადოება უფლებას იტოვებს, ამ პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადოს, დაიწყოს მათი დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების გამოცხადების სარეფერენდუმო პროცესი. ჩვენ მზად ვართ, იმ საკანონმდებლო ნორმებით გავიაროთ ეს საკითხები, რაც მოიცავს ცესკოში განცხადების შეტანას. ის ბლანკებს მოგვცემს, შემდეგ ისევ შევიტანთ, 3 თვის განმავლობაში განიხილავენ. თუ დაადასტურებენ ხელმოწერების სისწორეს, გადასცემენ პრეზიდენტს და პრეზიდენტი 1 თვის განმავლობაში ნიშნავს რეფერენდუმს. ამ შემთხვევაში თუ ისინი ამას არ შეასრულებენ და ისევ გაჭიანურებას დაიწყებენ, შევაგროვებთ უამრავ ხელმოწერას საქართველოს პარლამენტის უნდობლობის დასადასტურებლად და მერე რას იტყვიან ეს პარლამენტარები, როცა მილიონ-ნახევარ ხელმოწერას დავუდებთ, მაგას ვნახავთ.



**„იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამას არ შეასრულებენ და ისევ გაჭიანურებას დაიწყებენ, შევაგროვებთ უამრავ ხელმოწერას საქართველოს პარლამენტის უნდობლობის დასადასტურებლად და მერე რას იტყვიან ეს პარლამენტარები, როცა მილიონ-ნახევარ ხელმოწერას დავუდებთ, მაგას ვნახავთ“.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### უზენაესმა სასამართლომ ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა



ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის განცხადებით, საქმე ეხება სამ ეპიზოდს – სენაკის ბრიგადაში ჯარისკაცების კოლექტიურ დასჯას, ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმეს და ვაზიანის ბრიგადაში ზურაბ შამათავას მიერ ერთ-ერთი ოცმეთაურის, პაატა პაატაშვილის ცემას სხვა ჯარისკაცების თვალწინ.

„თავდაცვის მინისტრობის პერიოდში მას სამი ბრალი ჰქონდა წაყენებული – ე.წ. ვაშლის თლა, სენაკში ჯარისკაცების მიმართ არაადამიანური მოპყრობა და მესამე, აბესაძეს რომ წინაკა ესროლა... ამის შემდეგ აპელაციაში გამართლდა ბაჩო, შემდეგ უზენაესში გასაჩივრეს პროკურორებმა, მაგრამ უზენაესშიც გამართლა, სამივე ინსტანციამ გაამართლა და საქმე დაიხურა“, – განაცხადა ნადარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

### რუსეთში ავარიას ე.წ. კანონიერი ქურდი ჯემალ ხაჩიძე ემსხვერპლა



რუსული მედიის ინფორმაციით, 77 წლის ჯემალ ხაჩიძე წარმოშობით ხაშურიდან იყო. მას ჰყავდა საკუთარი მძღოლი, თუმცა შემთხვევის დროს ავტომობილს თავად მართავდა. არსებული ინფორმაციით, მან საჭე ვერ დაიმორჩილა, რასაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოჰყვა. (ნიუპოსტი)

### ელექტროენერგიის ტარიფი არ შეიცვლება



ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფი არ შეიცვლება.

მინისტრის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია მიზანმიმართული სიცრუის პროპაგანდაა.

„გვქონდა საუბარი სემეკის ხელმძღვანელთან. მიმდინარეობს ტარიფის გადათვლა. „რუსთავი 2“-ის ეთერში ვნახეთ მიზანმიმართული კამპანია იმასთან დაკავშირებით, რომ ტარიფი იზრდებოდა. ეს არის სიცრუე. მე ვფიქრობ, სიახლე არ არის, რომ „რუსთავი 2“ მიზანმიმართულად ახორციელებს სიცრუის პროპაგანდას. ეს არის სიცრუეზე დაფუძნებული მანქანა, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და რომელსაც წინა ხელისუფლება ძალიან კარგად იყენებდა სათავისოდ. მინდა მივმართო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, არ დაუჯეროს იმ ცრუ განცხადებებს, რომელსაც „რუსთავი 2“ აკეთებდა, ტარიფი არ შეიცვლება, დარჩება ის შემცირებული ტარიფი, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მოსვლის დროს განხორციელდა“, – განაცხადა კალაძემ. (kvira.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# რას უყვება „ალიას“ ექსპერტი, რომელმაც ეროსი კიწმარიშვილის ცხედარი დაათვალიერა...

შევა თუ არა გაუხსნელ საქმეთა ქეისში ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში სიკვდილი, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ერთი რამ ფაქტია, დღემდე არ გახსნილა ხმაურიანი მკვლელობები, საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილთა საქმეები და შესაძლოა, კიწმარიშვილის საქმეც ჟვანიას საქმის გვერდით დაიდოს. იყო თუ არა ეს თვითმკვლელობა, რა კვალიფიკაციაც პირველივე დღეს პროკურატურამ ამ ფაქტს მიანიჭა? ყოველი საათი და წუთი ამ ვერსიას აბათილებს. ეროსი კიწმარიშვილის ოჯახი და მისი მეგობრები თვითმკვლელობას კატეგორიულად გამორიცხავენ.

**ოჯახის მოთხოვნით, კიწმარიშვილის გვამის ექსპერტიზას ესწრებოდა დამოუკიდებელი ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი, რომელიც „ალიასთან“ ინტერვიუში აცხადებს:**

**„ძალიან მნიშვნელოვანია მანქანის დათვალიერება, თუკი გვერდით ვინმე იჯდა, საინტერესოა, იქ არის თუ არა სისხლის კვალი...“**

– საბოლოო მოზაიკის ასაწყობად ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი, მარჯვენა საფეთქლის შესავალშია დაზიანება, მარჯვენა მხარეს საფეთქელი საკუთარი ხელისთვის აბსოლუტურად მისაწვდომია, ისევე, როგორც გარეშე პირისთვის. კანზე პირდაპირ ხატია ლულის კვალი თავისი ზომებით. ეს იყო კლასიკური მიბჯენა, ეს მიბჯენა საკუთარი ხელით მოხდა თუ სხვისი ხელით, ეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საქმე აღარაა და ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა.

**— როცა მსხვერპლს მოულოდნელად ადებ იარაღს საფეთქელზე, ამ დროს შეიძლება მსხვერპლი დაიბნეს და წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს?**

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან დღეს თავს შევიკავებ, რადგან ბევრი რამ აკლია ამ მოზაიკას, რომელიც საბოლოოდ ნათელს გახდის, რასთან გვქონდა საქმე. ზოგადად კი ერთს დაგიდასტურებთ, რომ ეს არ არის იარაღის საფეთქელთან უბრალოდ მიდება, ეს არის მჭიდრო მიბჯენა. კითხვა, რომელიც თქვენ დამისვით, რა თქმა უნდა, მიმძაფრდება ამ პასუხით, მაგრამ ავიღოთ პაუზა და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. რომ ყოფილიყო თუნდაც ძალიან მცირე მანძილი, მაგ დროსაც შეიძლება ადამიანმა წინააღმდეგობა ვერ გაწიოს.

**— როცა ადამიანი თავის მოკვლას აპირებს, რატომ უნდა გააკეთოს ეს ავტოფარეხში მის კუთვნილ ავტომანქანაში იქ, სადაც ვიდეოკამერებია. თანაც საინტერესოა, თქვენი პრაქტიკა როგორ გიჩვენებთ, პროცენტულად უმეტეს შემთხვევაში ადამიანი თვითმკვლელობის დროს, იარაღს საფეთქელთან იდებს თუ პირში ლულას?..**

– ძირითადად, თვითმკვლელობის დროს არის საფეთქელი, იშვიათად ხდება ლულის პირში ჩადებით თვითმკვლელობა. მემარჯვენეებისთვის მარჯვენა საფეთქელი, ცაციებისთვის – მარცხენა, როგორც გავიგე, ეროსი კიწმარიშვილი ცაცია არ იყო.

**— ტყვიის ტრაექტორიის მიხედვით, შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ ის იყო სხვის მიერ ნასროლი თუ საკუთარი ხელით გასროლა.**

– ამ შემთხვევაში ისეთი მიმართულებაა, აბსოლუტურად შეიძლება გასროლა მომხდარიყო საკუთარი ხელითაც და სხვისი ხელითაც. ტყვიის მიმართულება ისეთია, რომ ვერც ერთს ვერ გამოვრიცხავ. საინტერესო ის არის, რომ ლულის ანაბეჭდი შეიძლება ვერ დახატო ისე, როგორც ეს ეროსი კიწმარიშვილის მარჯვენა საფეთქელზეა აღბეჭდილი. გარკვეული დეტალებიც კი ჩანს.

**„იარაღი ეგდო, იქ, ქვემოთ, სადაც იჯდა გარდაცვლილი, ამ გამოკვლევამ არ მოხსნა თვითმკვლელობა, დარჩა ორივე — თვითმკვლელობისა და მკვლელობის ვერსია, ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი რამეა შესასწავლი, რომ ბოლო-ბოლო გამოიკვეთოს, ამ ვერსიიდან რომელია რეალური“**



„მას ფინანსური პრობლემა არ ჰქონია. ეროსი კიწმარიშვილი წარმატებული კაცი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეროსის არანაირი სულიერი მოშლილობა და არანაირი დეპრესია არ ჰქონდა, ისეთი მოტივირებული იყო და იმდენი პროექტის განხორციელებას აპირებდა, რომ წარმოუდგენელია, მას თავი მოეკლა“

**— ერთ-ერთ ვერსიად იმასაც განიხილავდნენ, რომ ეს იყო შემთხვევითი გასროლა.**

– მესმის თქვენი კითხვის არსი, მაგრამ შემთხვევით გასროლა ასე მჭიდრო მიბჯენით არ ხდება. ავტოფარეხში საჭესთან მჯდომი ადამიანი საფეთქელთან იარაღის ასე მჭიდრო მიდებით იარაღს არ გაისვრის. ამის ალბათობა ნაკლებია. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მხოლოდ ის ითქვა, რომ გასროლა მოხდა „ჩეზეს“ ტიპის იარაღიდან, როგორც კი ოფიციალურად მეცოდინება იარაღის მოდელი, ამაზე შემდგომში შეიძლება საუბარი. „ჩეზე“ საკმაოდ მძლავრია და მძლავრი რომ არის, ეს იმითაც

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამოცდები დასრულდა — როდის გამოცხადდება შედეგები?



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის განცხადებით, 2014 წლის ეროვნული გამოცდების მსვლელობისას სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. თავდაპირველად ზოგადი უნარების შედეგები გამოცხადდება, მანამდე აბიტურიენტებს კიდევ აქვთ საშუალება, სასურველი ფაკულტეტები და უმაღლესი სასწავლებლები აირჩიონ.

„როგორც კი დასრულდება ყველა საგამოცდო საგნის შედეგების გამოცხადება, კიდევ რამდენიმე დღე აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, შეიტანონ ცვლილებები ჩამონათვალში. შემდეგ უკვე იწყება აპელაციის პროცესი და, ბუნებრივია, მათ ცვლილებების შესაძლებლობა არ ექნებათ“, – აღნიშნა მიმინოშვილმა.

მისი თქმით, პირველადი შედეგები 20 ივლისიდან გახდება ცნობილი. ერთიანი ეროვნული გამოცდები 26 ივნისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და ფიზიკისა და ხელოვნების გამოცდით დასრულდა. წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 36 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა. ასევე გამოცდებისთვის დარეგისტრირდა 20 000-მდე პედაგოგი და მასწავლებლობის მსურველი, 12 000-მდე მაგისტრობის კანდიდატი და 5 000-მდე სტუდენტი, რომელიც გრანტის გაუმჯობესებას ეცადა. (kvira.ge)

## 6 თვეში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5448 მილიონი დოლარი შეადგინა




მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 5 448 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 16 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 419 მლნ. აშშ დოლარი იყო (15 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 4 028 მლნ. აშშ დოლარი (16 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-ივნისში 2 609 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 48 პროცენტი შეადგინა. (kvira.ge)

## საგამოძიებო სამსახური კახა ცისკარიძის დაკითხვაზე დაბარების ფაქტს უარყოფს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში კახა ცისკარიძის დაკითხვაზე დაბარების ფაქტს არ ადასტურებენ. უწყების პრესსამსახურის განცხადებით, კახა ცისკარიძე საგამოძიებო სამსახურში არავის დაუბარებია.

შეგახსენებთ, რომ მუსიკოსმა კახა ცისკარიძემ მედიასთან განაცხადა, რომ ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტში დაკითხვაზე დაიბარეს. „წარმოდგენა არ მაქვს, რაზეა კონკრეტულად საუბარი, თუმცა, ვიცი, რომ კომპანია „არტ ფორუმთან“ დაკავშირებით მიბარებენ. დამირეკეს და მითხრეს, რომ კომპანიას დავალიანება აქვს“, – განაცხადა ცისკარიძემ. (kvira.ge)

*მეცხრე გვერდიდან*

ჩანს, რომ თავის ქალა ძალიან სერიოზულადაა დაზიანებული. ამ იარაღის მიბჯენით გასროლით, ფაქტობრივად, თავის ქალა ფეთქდება. მცირე დისტანციიდან რომ მომხდარიყო გასროლა, თავის ქალა ასე არ დაიშლებოდა.

**— საინტერესოა, გვამზე ჩატარებული ანალიზების მიხედვით ხომ არ დგინდება, რომ კიწმარიშვილი ფსიქოტროპული წამლების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, ან ისეთი ნივთიერებების, რომელიც მას ამ გადაწყვეტილების მიღებას გაუადვილებდა.**

– ყველა ანალიზი აღებულია, ჩემს თვალწინ ჩატარდა ყველანაირი ანალიზი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, ფიზიკურად ვერ მოესწრო ყველა პასუხი. ჩვენ აუცილებლად ვნახავთ მანქანას, საინტერესოა სისხლის კვალი.

**— გარდაცვლილს ხელზე ჰქონდა სისხლის კვალი?**

– დიახ, სისხლის კვალი ჰქონდა მაჯაზე, მხარზე. ძალიან მნიშვნელოვანია მანქანის დათვალიერება, თუკი გვერდით ვინმე იჯდა, საინტერესოა, იქ არის თუ არა სისხლის კვალი...

**— იარაღი, რომლითაც მოხდა მკვლელობა, გარდაცვლილს ხელში ეკავა თუ მანქანის სალონში ეგდო?**

– იარაღი ეგდო, იქ, ქვემოთ, სადაც იჯდა გარდაცვლილი, ამ გამოკვლევამ არ მოხსნა თვითმკვლელობა, დარჩა ორივე – თვითმკვლელობისა და მკვლელობის ვერსია, ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი რამეა შესასწავლი, რომ ბოლო-ბოლო გამოიკვეთოს, ამ ვერსიიდან რომელია რეალური.

„ალია“ დაუკავშირდა პროკურატურას კითხვებით, არის თუ არა შესწავლილი, გარდაცვლილს ბოლოს ვისთან ჰქონდა დარეკილი, ზარების მიხედვით, როგორ გადაადგილდებოდა კიწმარიშვილი, ჩანს თუ არა ვიდეოკადრებში, ვინ შევიდა ავტოფარეხში, იმყოფებოდა თუ არა ის მარტო. ამ დეტალებთან დაკავშირებით პროკურატურას მოცემულ მომენტში პასუხი არ ჰქონდა და დრო და დრო ყველაფერი გახდება მედიისთვის ცნობილიო.



**კიწმარიშვილი ვალერი გელბახიანის პარტიიდან იყრიდა კენჭს რუსთავის მერობის არჩევნებზე. როგორც გელბახიანი ჩვენთან საუბარში აცხადებს, პარტია „ჩემი საქართველო“ იყო ეროსის არჩევანი, თავად გამოთქვა სურვილი, ამ პარტიის სახელით მონაწილეობა მიეღო არჩევნებზე. როგორც გელბახიანი აცხადებს, მან დამარცხება არ განიცადა და ამის გამო დეპრესიაში არ ჩავარდნილა. როგორც ის იხსენებს:**

– არჩევნების შემდეგ დავუკავშირდი და ვუთხარი, რომ გული არ გაეტეხა. არა, რას ამბობ, გული რატომ უნდა გავიტეხო, წინ კიდევ არჩევნები გველოდება. საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა გავძლიერდეთ, პარტია ფეხზე უნდა დავაყენოთ და სოლიდური რაოდენობით უნდა შევიდეთ პარლამენტშიო. დამპირდა, რომ პარტიის გასაძლიერებლად ფინანსები პრობლემა არ იქნებოდა, ისეთი იმედიანი ხმა ჰქონდა ტელეფონში საუბრისას, შემრცხვა, რომ მას არჩევნებში დამარცხება მივუსამძიმრე. ამით იმის თქმა მინდა, რომ არჩევნებში დამარცხების გამო ეროსი დეპრესიაში არ ყოფილა.

**— გაიჟღერა ვერსიამ, თითქოს კიწმარიშვილს დიდძალი ვალი ჰქონდა და ამის გამო თავი მოიკლა. თქვენთან როდესმე უხსენებია, ამ ვალის შესახებ.**

– არა, ეს არის სისულელე, მე ძალიან გამიკვირდა, ვის დასჭირდა ამ ვერსიის წამოწევა. მას ფინანსური პრობლემა არ ჰქონია. ეროსი კიწმარიშვილი წარმატებული კაცი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეროსის არანაირი სულიერი მოშლილობა და არანაირი დეპრესია არ ჰქონდა, ისეთი მოტივირებული იყო და იმდენი პროექტის განხორციელებას აპირებდა, რომ წარმოუდგენელია, მას თავი მოეკლა, პირიქით, მაწყნარებდა, ბოლოს მისგან რაღაც მეწყინა. როდესაც არჩევნების მეორე ტურში მან გააკეთა განცხადება, რომ ის მხარს უჭერდა „ნაციონალების“ კანდიდატს, ვურეკავდი, ტელეფონი ჰქონდა გამორთული. ლევან ჩხეიძეს დავურეკე და ვუთხარი, ეროსი დამალაპარაკე-მეთქი. ეროსიმ მითხრა, გამიგე, არ გეწყინოს, ამ გადაწყვეტილების მიღება მე დამჭირდა, ტელეფონზე სალაპარაკო არ არის, გნახავ და აგიხსნიო. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ მის განწყობასა და პათოსში არ იგრძნობოდა, რომ რამეზე ნერვიულობდა. მას არავისი ვალი არ ჰქონია, მას ჰქონდა სასამართლოში დავა ტელეკომპანია „მაესტროსთან“, იმედით მეუბნებოდა, სასამართლო გადაწყვეტილებით ან ტელევიზიას დამიბრუნებენ და ან ფულსო.

**— ტელევიზიით დარწმუნებით განაცხადეთ, რომ ეს იყო მკვლელობა, რასაც „ოცნების“ დეპუტატის ზურაბ აბაშიძის კრიტიკა მოჰყვა. ვალერი გელბახიანი გამოცდილი იურისტია და ასეთი შეცდომა არ უნდა დაეშვაო.**

– კი, მაგრამ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს იყო საზარელი მკვლელობა და ვალერი გელბახიანის სიტყვა მოხვდათ გულზე? რადგან ზურაბ აბაშიძე არის იურისტი, მას ვუპასუხებ, სხვა შემთხვევაში არ ვუპასუხებდი. სისხლის სამართლის კოდექსში მკვლელობის 5 მუხლია, ერთ-ერთია – თვითმკვლელობამდე მიყვანა, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ვილაცამ აიძულა ადამიანი თვითმკვლელობა ჩაედინა. როცა კეთდება ოფიციალური განცხადება, რომ პიროვნების მკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაციით აღიძრა საქმე, მე ვთქვი, რომ ეს იყო ნაჩქარევი და არ იყო სერიოზული მიდგომა ასეთი რეზონანსული მოვლენისთვის.



**„ჩეზე“ საკმაოდ მძლავრია და მძლავრი რომ არის, ეს იმითაც ჩანს, რომ თავის ქალა ძალიან სერიოზულად არის დაზიანებული. ამ იარაღის მიბჯენით გასროლით, ფაქტობრივად, თავის ქალა ფეთქდება. მცირე დისტანციიდან რომ მომხდარიყო გასროლა, თავის ქალა ასე არ დაიშლებოდა“**

მე მაქვს ეჭვი, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავს არანაირად არ მოიკლავდა და სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. არის ადამიანთა წყება, ვინც ამბობს, რომ ეროსი კიწმარიშვილი აპირებდა გააქტიურებას და შედიოდა პოლიტიკაში. მე მოვუსმინე საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც თქვა, რომ ეს იყო საზარელი მკვლელობა. თუ ეს საზარელი მკვლელობა იყო და ამას პრეზიდენტი ამბობს, რაღა ვალერი გელბახიანი გაეჩხირათ ყელში?!. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი ვერსიით, გამორიცხულია თვითმკვლელობა და გამოძიების ამ გზით წასვლა ნიშნავს მკვლელობის მიჩქმალვას. როგორც ირკვევა, ნასროლია იარაღის მჭიდრო მიბჯენით, ეს უფრო მეტად მილევივებს ეჭვს, რომ კიწმარიშვილი მოკლულია. მე ყველას ბოდიშს მოვუხდი, ვისაც სჯერა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა, მაგრამ ამავდროულად, ვარწმუნებ, რომ ეროსი კიწმარიშვილს არანაირი საფუძველი თვითმკვლელობის არ ჰქონია. რატომ არ უჩნდებათ კითხვა, – ადამიანი სახლიდან გამოდის და მიდის სადღაც, ესე იგი ვილაცამ მას დაურეკა ან პირიქით და შეხვედრა დაუთქვა. ამ ტელეფონზე ჩანაწერიც იქნება და ნომერიც იქნება დაფიქსირებული. თუ შეხვედრაზე მიდის, თავს იკლავს მანქანაში? თუ თავის მოკვლა უნდოდა, სახლში მოიკლავდა ღირსეულად თავს. ყველა არგუმენტის მიხედვით გამოირიცხება თვითმკვლელობა

**„მე მაქვს ეჭვი, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავს არანაირად არ მოიკლავდა და სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. არის ადამიანთა წყება ვინც ამბობს, რომ ეროსი კიწმარიშვილი აპირებდა გააქტიურებას და შედიოდა პოლიტიკაში“**

**„ისეთი მიმართულებაა, აბსოლუტურად შეიძლება გასროლა მომხდარიყო საკუთარი ხელითაც და სხვისი ხელითაც. ტყვიის მიმართულება ისეთია, რომ ვერც ერთს ვერ გამოვრიცხავ. საინტერესო ის არის, რომ ლულის ანაბეჭდი შეიძლება ვერ დახატო ისე, როგორც ეს ეროსი კიწმარიშვილის მარჯვენა საფეთქელზეა აღბეჭდილი. გარკვეული დეტალებიც კი ჩანს“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორი ამინდები იქნება ივლის-აგვისტოში?



სინოპტიკოსები ივლისსა და აგვისტოში ტემპერატურის საშუალო კლიმატურ ნორმაზე ერთი გრადუსით მომატებას პროგნოზირებენ. სინოპტიკოს სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, „სეზონის პროგნოზით, ივლისი და აგვისტო კლიმატურ ნორმაზე – 20-24 გრადუსზე ერთი გრადუსით მაღალი იქნება, მაგრამ ნალექიანი. ასევე ნალექი ცოტა ნორმაზე მეტი მოვა. ამ პერიოდში სიცხეც იქნება და წვიმებიც. ცალკეულ დღეებში კატასტროფულად სიცხეების მომატებას არ ველოდებით, ასევე შესაძლებელია, დასავლეთსა და აღმოსავლეთში 37-38 გრადუსამდე მოიმატოს ტემპერატურამ“, – განაცხადა სვეტლანა ნიორაძემ. (kvira.ge)

## პარლამენტი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხს განიხილავს



საკანონმდებლო ორგანო პარასკევს, 18 ივლისს, პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირების საკითხს განიხილავს. სხდომა 12:00 საათზე დაიწყება და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამის პროცედურებს გაივლის.

2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილ „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ დეპუტატებს მომხსენებელი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე წარუდგენს.

გამოსვლები 17 საათზე იგეგმება. გამოსვლების შემდეგ კენჭისყრის პროცედურამდე გამოცხადდება შესვენება. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, კენჭისყრის დაწყებამდე დეპუტატებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მოწვეული სტუმრები მიმართავენ.

„სხდომას ევროკომისარი შტეფან ფულე დაესწრება, რომელიც ამ მოვლენასთან ყველაზე ახლოს იყო და მოლაპარაკებების პროცესი მისი დახმარებით მიმდინარეობდა. ველოდებით სტუმრებს ლატვიიდან და ბულგარეთიდანაც. როგორც ცნობილია, დაესწრებიან ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

დაესწრება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 18 ივლისს პარლამენტში ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას ჯერჯერობით უცნობია. (kvira.ge)



ლელა ტალიური

# ნარკოშემოწმების გარეშე დეპუტატები საკრებულოში ვეღარ მოხვდებიან?

## სამაგიეროდ, მერები, მოადგილეები, გამგებლები ,,გულაობენ“...

**„ალიას“ წინა ნომერში „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, საკრებულოები ნარკომანებით გაივსოო და პრემიერ ღარიბაშვილს მოუწოდა, ვისაც საკრებულოში მოხვედრა უნდა, იმათთვის ნარკოტესტის გავლა აუცილებელი იყოსო.**

**„ალია“ დაინტერესდა, არსებობს თუ არა ამ მხრივ რაიმე სახის რეგულაციები და ამის გასარკვევად „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტს ლელა ტალიურს ესაუბრა:**

– ცნობების წარდგენა დადგენილია მხოლოდ პარლამენტის დეპუტატებზე და არაფერია ნათქვამი საკრებულოს წევრებთან მიმართებაში. ჩანაწერები, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ მოთხოვნებს სამსახურში მიღებისას, რომ პირმა წარმოადგინოს სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ეს არის მე-18 მუხლი „საჯარო სამსახურის“ კანონში, აქ არის მე-11 მუხლი, ამ მუხლს თუ ვნახავთ, დავრწმუნდებით, რომ ის არ ვრცელდება პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, მუნიციპალიტეტის, საკრებულოს წევრებზე, გამგებელზე, მერზე, მერის მოადგილეზე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლებზე. ანუ აქ არის ჩამონათვალი კონკრეტული მუხლებისა, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურის კანონით მითითებულ ადამიანებზე. გამოდის, რომ არანაირი აქტი არ გვაქვს ამ შემთხვევაში, რომელიც ვრცელდება ამ კატეგორიის ადამიანებზე. რადგან კანონში ეს ყველაფერი არ იკითხება, პასუხისმგებელი არის ის სამინისტრო (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის. – ჟ.ა.), ვინც უშუალოდ განახორციელა თვითმმართველობის რეფორმა. მათ უკვე თქვეს, რომ 60-მდე აქტში უნდა განხორციელდეს ცვლილებები, ამიტომ ვვარაუდობ, რომ კიდევ იმუშავებენ ამ კანონზე.

**— საარჩევნო კანონშიც არაა რაიმე სახის ჩანაწერი?**

– არაფერი საერთოდ. საჯარო სამსახურში კი ის მუხლები, რომელიც უშუალოდ ადგენს ცნობის წარდგენის ვალდებულებას, შემდგომ არის სპეციალური მუხლი, რომელიც ადგენს, რომ რაღაც მუხლები ვრცელდება და ეს მე-18 მუხლი ამ ჩამონათვალში არ არის. სპეციალური მუხლი და მინიშნება, რომელიც ამ შემთხვევაში საკრებულოს დეპუტატებთან მიმართებაში, ან არჩეული მერის და გამგებლის შემთხვევაში გამოიყენება, არ არის.

**— ერთია, როცა არჩევითია პირი, მეორეა როცა საკრებულოში მუშაობენ ადამიანები. ამ შემთხვევაში, დავუშვათ, მერი არაა ნარკოტიკის მომხმარებელი, მაგრამ მისი თანაშემწე არის. კანონი რას ამბობს?**

– რაც შეეხება ამ მეორე კატეგორიას, რომლებიც მიიღებიან მოხელეებად, ამაზე მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი გავრცელდება, სადაც საუბარია, რომ სამსახურში მიღებისას პირმა უნდა წარადგინოს სამედიცინო ნარკოლოგიური ცნობა. ანუ არჩევით თანამდებობის პირებს, როგორიც არიან მერები და საკრებულოს დეპუტატები, არ ევალებათ ამ დოკუმენტის წარდგენა. ახალ კოდექსში ნარკოლოგიურ ცნობაზე არაფერია ნათქვამი.

**— როგორც იურისტი, ფიქრობთ, რომ კანონი გადასახედია?**

– ამ მიმართულებით, როცა კანონმდებელმა კანონში ჩადო მუხლები, რომ გარკვეულ პირებზე ეს ვალდებულება არ ვრცელდება, იდეაში არის სულისკვეთება, რომ საჯარო სამსახურში მომუშავე პირებზე არის სხვა სპეციფიკა, ვიდრე არჩევით თანამდებობის პირებზე. თუმცა ის მომენტი, რომ პარლამენტის წევრებზე არის დადგენილი ეს ვალდებულება და არა ადგილობრივ დონეზე, ეს გადასახედია. ახალი ცვლილებები თვითმმართველობის კანონში თებერვალში იქნა მიღებული, ამ შემთხვევაში არგუმენტი უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას.

**— დავუშვათ, მერს ხმას ვაძლევ მისი ცნობადობის გამო, მაგრამ, მეორე მხრივ, ვირჩევ პროპორციული სიით გასულ დეპუტატებს, სადაც შესაძლოა, „გაძვრეს“ ისეთი ადამიანიც, რომელიც, შემდგომში აღმოჩნდება, რომ ნარკომანია.**

– ზოგადად, ხმას იძლევით კონკრეტული პარტიის ან გუნდის მიმართ ნდობის გამო. არჩევის პრინციპი ისეა, რომ პარტიულ სიაში მყოფი კანდიდატების არჩევა ხდება და შესაბამისად, პარტიის მიმართ არის ნდობა და არა ცალკე აღებული ინდივიდების მიმართ. თუმცა უცხოეთში არის მოდელები, როცა გამოკვეთილები არიან და არსებობს ღია სიები, ამიტომ ამომრჩევლები სასურველ ინდივიდს ხაზავენ. მათ იციან, ვის და რატომ აძლევენ ხმას. ჩვენთან ეს მოდელი არ არის. გვაქვს დახურული სიები, ამიტომ ამომრჩეველი ირჩევს პარტიას და სია, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციაშია წარდგენილი, მიღებული პროცენტების მიხედვით შედის საკრებულოში. სიმართლე გითხრათ, მე ამ კუთხით არ შემიხედავს ამ პრობლემისთვის და სამომავლოდ, ვფიქრობ, მსჯელობის საგანი გახდება. ამ კოდექსით ამდენი მერი, დეპუტატი, გამგებელი პირველად ავირჩიეთ, სხვა დროს მხოლოდ საკრებულოს ვირჩევდით.

**აპირებს თუ არა პარლამენტი კანონის გადახედვას და როგორია საკანონმდებლო ორგანოს მოსაზრება, ამასთან დაკავშირებით?**

**„ალია“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას დაუკავშირდა: ,,ვფიქრობ, საჭიროა, რომ საკრებულოს წევრები და საჯარო მოხელეები გადიოდნენ ნარკოლოგიურ შემოწმებას, საჯარო სამსახურში საჭიროა ასეთი შემოწმების გავლა. მიმაჩნია, რომ ქვეყნის საჯარო მოხელემ, საკრებულოს თანამდებობის პირებმა ასეთი შემოწმება უნდა ჩაიტარონ. კანონში არის ჩანაწერი ამის შესახებ, თუმცა ვნახოთ, სჭირდება თუ არა მას სრულყოფა, ამაზე ვიმსჯელებთ“.**



**„არჩევით თანამდებობის პირებს, როგორიც არიან მერები და საკრებულოს დეპუტატები, არ ევალებათ ამ დოკუმენტის წარდგენა. ახალ კოდექსში ნარკოლოგიურ ცნობაზე არაფერია ნათქვამი“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კიწმარიშვილის უახლოესი მეგობარი საგანგებო განცხადებას ავრცელებს



ტელეკომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებელი და ეროსი კიწმარიშვილის მეგობარი ბადრი ნანეტაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე განცხადებას აქვეყნებს. ნანეტაშვილი რამდენიმე ადამიანს მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებაში ადანაშაულებს და განმარტავს, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ცოტა ხნით ადრე კიწმარიშვილზე საზიზღრობებს თხზავდნენ. ნანეტაშვილი ეროსი კიწმარიშვილთან ბოლო შეხვედრას და მეგობართან საუბრის დეტალებს იხსენებს.

„რამდენიმე ადამიანმა ჩემს მიმართ ცილისმწამებლური განცხადება გაავრცელა, თითქოს მე „დამამუშავეს“ და თითქოს შევცვალე ჩემი ნათქვამი. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ცოტა ხნით ადრე ეროსის უგონებდნენ ასეთ პროვოკაციებს და ათას საზიზღრობებს თხზავდნენ. დღეს კი თითქოს გულშემატკივრები მე მაბრალებენ „დამუშავებას“ და „მოსყიდვას“.

მე გუშინ თითქმის დილამდე ეროსის ოჯახთან და ახლობლებთან ვიყავი, ხოლო განცხადება, რაც გავაკეთე, კიდევ გავიმეორებ: გუშინწინ, ეროსი კიწმარიშვილმა და გია ხევიაშვილმა გამომიარეს ნუცუბიძის ქუჩაზე. მე დავჯექი ეროსის ავტომანქანაში და წავედით ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისში, სადაც დავსხედით პიცერია „პრეგოში“. იქ ეროსი იყო მხიარულ ხასიათზე. პიცას უწონებდა კაფეს. შემდეგ დაიწყო მომავალ გეგმებზე ლაპარაკი. ამბობდა, უნდა გავხსნა საკაბელო ტელევიზია და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომ ორ წელიწადში ზედიზედ სამი არჩევნები მოდის და ბევრი სამუშაო მექნებაო.

ამბობდა, მართალია, არჩევნები წავაგე, მაგრამ აქამდე, ორი წელიწადი ხელისუფლებამ ჩამძირა, სახლში ჩამკეტა და ამ არჩევნებმა მე სახლიდან გამომიყვანა და გამააქტიურაო. კიდევ, ამბობდა, რომ „რუსთავი 2“-თან მოლაპარაკება მაქვს, „სამოცი წუთი“ უნდა აღვადგინოო...მაგარი ბომბი გადაცემა უნდა გავაკეთოო. კაფეში, დანით პიცის ნაჭერს ჭრიდა და თითი გაიჭრა. ხევიაშვილი გარეთ გავიდა აფთიაქში და ბინტი შემოუტანა, მაგრამ არ დასჭირდა. კაფედან წამოსვლის შემდეგ, ხევიაშვილი მივიყვანეთ მის ავტომანქანასთან, ეროსის სახლთან. ამ დროს ეროსიმ მთხოვა, გავყოლოდი იარაღის მაღაზიაში, რომ ძმის დაბადების დღე იყო და საჩუქარი მინდა გავუკეთოო. რაღაც ადრინდელი ნაჩუქარი იარაღი მაქვსო და იმის გაფორმება თუ რთული არ იქნება, იმას ვაჩუქებო. თან ვაზნების ყიდვა უნდოდა იმ იარაღის (ამ საკითხზე წინა საღამოს სკაიპშიც დამელაპარაკა). მაღაზიაში გასაუბრების შემდეგ უთხრა, რომ კარგი, ახლა იმის დევნა დიდ დროს წამართმევს და რახან ახლის ყიდვა უცებ ხდება, ახალს ვიყიდიო. ამის შემდეგ კარგა ხანს ვარჩევდით იარაღს. მაღაზიის შემდეგ, ამოწერილი საბუთები წავიღეთ პოლიციაში, მაგრამ გვითხრეს, რომ სამუშაო უკვე დამთავრებული იყო და მეორე დილით მივსულიყავით. ეროსიმ მითხრა, შენ ალბათ ადრე ვერ გაიღვიძებო და მე ათ საათზე მივალო. მე ახლაც ვაცხადებ, რომ ეროსის თავის მოკვლის მიზეზი არც ჰქონია და არც მის ხასიათსა და მომავალ გეგმებზე ლაპარაკის დროს არ ჩანდა. მხოლოდ მომავალი საქმეების კეთებისთვის შემართული ადამიანის ლაპარაკი იყო. ამას ვწერ იმ პროვოკატორებისთვის, რომლებიც ადამიანის განადგურებისთვის და მოსპობისთვის ავრცელებენ ასეთ ცილისწამებებს! ტელეფონი გამორთული მქონდა, იმის გამო, რომ დღეს დილის რვა საათზე დავიძინე“, – წერს ბადრი ნანეტაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (kvira.ge)



ვანმა ცდებმა აჩვენა, რომ გენმოდიფიცირებული რაციონის მიღების შემთხვევაში (ძირითადად კი სოიო და სიმინდი) ისინი მალე ბერდებოდნენ, უქვეითდებოდათ იმუნიტეტი, დაუცველი ხდებოდნენ ინფექციური და ვირუსული დაავადებების მიმართ, უმახინჯდებოდათ რეპროდუქციული სისტემა – ვეღარ იძლეოდნენ ჯანსაღ შთამომავლობას. ექსპერიმენტის შედეგად, გენმოდიფიცირებულ დიეტაზე გაზრდილი ვირთხები რთულად ორსულდებოდნენ, იძლეოდნენ დასუსტებულ შთამომავლობას და სიკვდილიანობის მაჩვენებელი ანომალიურად მაღალი იყო.

გენმოდიფიცირებული პროდუქტები, გარეგნულად არაფრით განსხვავდება ჯანსაღი, ბუნებრივი პროდუქტისგან. სუპერმარკეტებსა და ბაზრებში რთულია მიხვდე, არის თუ არა პური, კარაქი, ხილი, ბოსტნეული და სხვა საკვები პროდუქცია გენმოდიფიცირებული.

ЗАО «Балтимор-Нева» – კეტჩუპები; ЗАО «Микояновский мясокомбинат» – პაშტეტი, ფარში; ЗАО ЮРОП ФУДС ГБ» – სუპები «Галина Бланка»; კონცერნი «Белый океан» – ჩიპსები «Русская картошка»; ОАО «Лианозовский молочный комбинат» – იოგურტები «Чудо-молоко», «Чудо-шоколад»; ОАО «Черкизовский МПЗ» – გაყინული ხორცის ფარში; ООО «Кампина» – იოგურტები, საბავშვო კვება; ООО «МК Гурман» – პაშტეტი; ООО «Фрито» – ჩიპსები «leis»; ООО «Эрманн» – იოგურტები; ООО «Юнилевер СНГ» – მაიონეზი «Calve»; ფაბრიკა «Большевик» – ნამცხვარი «Юбилейное».

**„გრინფისის“ შავ სიაშია შესული შემდეგი კომპანიები:**

«Дарья – ნახევრადფაბრიკატები», ООО «Мясокомбинат Клинский», МПЗ «Таганский», МПЗ «КампоМос», ЗАО «Вичюнай», ООО «МЛМ-РА», ООО»Талосто-продукты», ООО «Колбасный комбинат «Богатырь», ООО «РОС Мари Лтф».

# გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და მწარმოებლების შავი სია

გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება, საკვები პროდუქტების სახით, იწვევს კუჭის ლორწოვანი სტრუქტურის დარღვევას და ხელს უწყობს ნაწლავებში, ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი მიკროფლორის წარმოქმნას. ამასთანავე, მთელ რიგ უკუჩვენებებს ემატება ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითება და ნივთიერებათა ცვლის მოშლა. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ქრონიკული დაავადებების აკუმულირებასა და არაჯანსაღი წონის ჩამოყალიბებას. პარადოქსია, რომ სწორედ ის პროდუქტები, რომლებსაც რეკლამა უკეთდება როგორც დაბალცხიმიანი, უშაქრო და დიეტური, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის მოშლას და ჭარბ წონას. მაგალითისთვის, ათასობით ე.წ. დიეტურ პროდუქტში ხელოვნური დამატკბობელი „ასპარტამი“ გამოიყენება. მისი უკუჩვენებების გამო, მას 21-ე საუკუნის შავ ჭირს უწოდებენ. დიეტური პროდუქტის ერთ-ერთი უკუჩვენება სიმსუქნეა. საქართველოში მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად, ბრმად იღებს „ასპარტამს“ სალეჭი რეზინების, დიეტური სასმელებისა და უშაქრო ტკბილეულის სახით. უკუჩვენებების მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: მხედველობის მხრივ – მხედველობის დაქვეითება/დაბრმავება, ტკივილი თვალში, თვალის სიმშრალე. სმენის მხრივ: ტინიტუსი, ხმაური ყურში, სმენის დაქვეითება. ნევროლოგიური დაავადებები: ეპილეფსია, თავბრუსხვევა, მეხსიერების დაქვეითება, მეტყველების უნარის დაქვეითება, მოუსვენრობა, აფორიაქება. კუჭ-ნაწლავის მხრივ: გულისრევის შეგრძნება, დიარეა, ტკივილი მუცლის არეში. აგრეთვე, იწვევს კანის ალერგიულ დაავადებებს – ქავილი, წვა. აღინიშნება ენდოკრინოლოგიური პრობლემები.




სწორედ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღებას უკავშირებენ ონკოლოგიური დაავადებების მომრავლებას. ტრანსგენებს გააჩნია ნაწლავის მიკროორგანიზმის გენურ აპარატთან ინტეგრირების თვისება, ეს კი მუტაციაა. როგორც ცნობილია, ადამიანის ორგანიზმში სიმსივნეების განვითარებას უჯრედების მუტაცია იწვევს. ცხოველებზე ჩატარებულმა მრავალრიცხოვან შემთხვევაში, გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ვიზუალურად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე მისი ჯანსაღი, ბუნებრივი ანალოგი. არც გემოშია განსხვავება. სამაგიეროდ კატასტროფული სხვაობაა გენეტიკურ დონეზე, რომელიც მთელ რიგ ანომალიებს იწვევს ორგანიზმში. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ქრომოსომები შეიცავს სხვა მცენარეებისა და ცხოველების მავნე ინფორმაციას. გენმოდიფიცირებული პროდუქტები, მათი მომხმარებლის შეუქცევად მოდიფიცირებას იწვევს გენეტიკურ დონეზე, რომლის შედეგიცაა სრული სტერილობა (უშვილობა), საშიში ალერგიული რეაქციები, საკვები მოწამვლა, მუტაციები, მდგრადობის განვითარება ანტიბიოტიკების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში, ამ ტიპის პრეპარატები ვეღარ დაგვიცავს საშიში დაავადებებისგან.




**ორგანიზაცია „გრინფისმა“, გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემდეგი არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები შეიყვანა შავ სიაში. მათ შორის ბევრია საბავშვო კვების პროდუქტი, რომლებიც საქართველოს სუპერმარკეტებში თავისუფლად იყიდება და არანაირი მინიშნება არ აქვს, რომ მათ შემადგენლობაში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებია.**

1. Hershey's Cadbury Fruit&Nut-ის შოკოლადის ნაწარმი; 2. Mars M&M; 3. შნიცკერს; 4. Twix; 5. Milky Way; 6. Cadbury (ქეთბერი) შოკოლადი, კაკაო; 7. Ferrero-ს ნაწარმი; 8. Nestle nestles პროდუქცია, შოკოლადები Nestle, Россия; 9. შოკოლადის სასმელი Nestle Nesquik; 10. გამაგრილებელი სასმელი Coca-cola; 11. sprait, fanta, tonik kinli, furqtaimi; 12. კომპანია პეპსიკოს - Pepsi; 13. 7-ჲპ, ფიესტა, მოუნთინ დიუ; 14. Kellogg's-ის მშრალი საკვები; 15. Campbell-ის სუპები; 16. Uncle Bens Mars-ის ბრინჯი; 17. Knorr-ის სოუსები; 18. Lipton-ის ჩაი; 19. Parmalat-ის ნამცხვრები; 20. Hellman's-ის მაიონეზები და სოუსები; 21. Heinz-ის მაიონეზები და სოუსები; 22. Nestle-ს საბავშვო კვება; 23. Hipp; 24. Abbot Labs Similac; 25. Denon-ის იოგურტები, კეფირი, ყველი და საბავშვო კვება; 26. McDonald's-ის სწრაფი კვების რესტრონები მთლიანად; 27. Kraft-ის შოკოლადები, ჩიპსები, ყავა და საბავშვო კვება; 28. Heinz Foods _ სოუსები და კეტჩუპები; 29. «Делми» Unilever – საბავშვო საკვები პროდუქცია.

**თანამეგობრობის ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია:**

АООТ «Нижегородский масложировой комбинат» (მაიონეზი «Ряба», «Впрок» და სხვა);

მწარმოებელი კომპანია: Unilever: Lipton (ჩაი), Brooke Bond (ჩაი), «Беседа» (ჩაი), Calve (მაიონეზი, კეტჩუპი), Rama (კარაქი), «piSka» (მარგარინი), «delmi» (მაიონეზი, იოგურტი, მარგარინი), «algida» (ნაყინი), Knorr (საკვები დანამატები და მაიონეზი);

მწარმოებელი კომპანია Nestle: Nescafe (ყავა და რძე), Maggi (სუპი, ბულიონი, მაიონეზი, Nestle (შოკოლადი), Nestea (ცივი ჩაი), Neseqiuk (კაკაო);

მწარმოებელი კომპანია Kellog's (Corn Flakes , Frosted Flakes , Rice Krispies , Corn Pops, Smacks , Froot Loops, Apple Jacks , Afl-bran Apple Cinnamon/ Blueberry , Chocolate Chip , Pop Tarts , Nulri grain , Crispix , All-Bran , Just Right Fruit & Nut , Honey Crunch Corn Flakes, Raisin Bran Crunch , Cracklin'Oat Bran)

მწარმოებელი კომპანია Hershey's (თობლერონე (ყველა სახის შოკოლადი), Mini Kisses, Kit-Kat, Kisses, Semi-Sweet Baking Chips, Milk Chocolate Chips, Reese's Peanut Butter Cups, Special Dark, Milk Chocolate, Chocolate Syrup, Special Dark Chocolate Syrup, Strawberry Syrup)

მწარმოებელი კომპანია Mars (M&M'S, Snickers, Milky Way, Twix, Nestle, Crunch, Milk Chocolate Nestle , Nesquik (Sokoladis sasmeli), Cadbury (Cadbury/Hershey's), Fruit & Nut)

მწარმოებელი კომპანია Heinz (Ketchup (regular & no salt), Chili Sauce, Heinz 57 Steak Sauce)

მწარმოებელი კომპანია Coca-Cola (Coca Cola, Sprite, Charry Cola, Minute Maid Orange, Minute Maid Grape)

მწარმოებელი კომპანია PepsiCo (Pepsi, Pepsi Cherry, Mountain Dew)

მწარმოებელი კომპანია Frito - Lay / PepsiCo (Lays Potato Chips, Cheetos)

მწარმოებელი კომპანია Cadbury / Schweppes (7-Up, Dr. Pepper)

მწარმოებელი კომპანია Pringles Procter&Gamble (Pringles - Original, LowFat, Pizzalicious, Sour Cream & Onion, Salt & Vinegar, Cheezeums). (რეპორტიორი. წყარო: IREPORTER.GE)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე დაკითხეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი ნოზაძე შსს-ს ანტიკორუფციულ სააგენტოში დაკითხვაზე იმყოფებოდა. სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. კერძოდ, საქმე ეხება სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტს. (ნიუპოსტი)

## დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების განყოფილების უფროსი დავით გადელია დააკავეს.

„გამოძიებით დადგენილია, რომ დავით გადელიამ, იძულებით გადაადგილებული პირისთვის სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ გადაცემაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 6 500 აშშ დოლარის ოდენობით ფულადი თანხა აილო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# პუტინის „მწვანე კაცუნები“ უკრაინის შემდეგ საქართველოშიც გამოჩნდნენ

რამდენად რეალურია საქართველოში პუტინის ე.წ. „მწვანე კაცუნების“ გამოჩენა, რომელთა „ნათლობა“ უკრაინაში მოხდა და ისინი ასოცირდებიან სეპარატიზმთან, აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებულ შეიარაღებულ დაპირისპირებასთან და ყირიმის ოკუპაციასთან? უნდა ველოდოთ თუ არა საქართველოში მათ გააქტიურებას? რამდენად მზადდება პუტინის მიერ ე.წ. „მწვანე კაცუნების“ ხელით ამჯერად უკვე საქართველოში დესტაბილიზაციების, პროვოკაციებისა და შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება? არსებობს თუ არა მათი თავისუფალი მოქმედების ფაქტობრივი გარემოებები ჩვენს ქვეყანაში? თუმცა ერთი რამ ცხადია, თუ ისინი რეალურად ფიქსირდებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ყველა შემთხვევაში ნეგატიურ პროცესებთან იქნებიან დაკავშირებული.

სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ მომხმარებელთა ყურადღება საქართველოში ერთმა დამაინტრიგებელმა ინფორმაციამ მიიპყრო, რომელიც „პოსტის“ სახით, ისტორიკოსმა ნიკა მაჭუტაძემ გამოაქვეყნა. ის საჯაროდ მიუთითებს, რომ არსებობს სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, საქართველოში დესტაბილიზაციის საფრთხეების შესახებ.

**გთავაზობთ ნიკა მაჭუტაძის მიერ გამოქვეყნებულ პოსტს:**

„ახლა აქ ვაკეთებ ძალიან სერიოზულ განცხადებას და ძალიან გთხოვთ, გაეცანით. ამასთანავე, ვიტყვი, რომ დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვარ, გავესაუბრო/ჩვენება მივცე საგამოძიებო ორგანოებს, შევხვდე, ინფორმაცია მივაწოდო დიპლომატიურ კორპუსს, წარმომადგენლობებს. საქართველო, კერძოდ, თბილისი, ახალქალაქი და ბათუმი გავსებულია რუსეთის მიერ შემოგზავნილი ე.წ. „მწვანე კაცუნებით“, რომელთა დავალება, მიზანია საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობა, შეიარაღებული დაპირისპირება და პროვოკაციები სახელმწიფო მართლწესრიგის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის მიზნით. მაქვს კონკრეტული ინფორმაციები ძალიან სანდო წყაროებისგან. ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტმა კი არსებული მონაცემები გაამყარა და ეჭვები გააძლიერა. ვიმეორებ: ინფორმაცია ძალიან კონკრეტულია, თუმცა ამჟამად მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**— ბატონო ნიკა, ალბათ, დამეთანხმებით, თქვენ მიერ „ფეისბუკზე“ გავრცელებული ინფორმაცია სკანდალური და ბევრი კითხვის ნიშნის შემცველია, იქნებ უფრო დეტალურად გვითხრათ, რა ინფორმაციის მატარებელი ბრძანდებით და რამდენად რეალურია საფრთხეები საქართველოსთვის?**

– მე ვთქვი, რომ მაქვს ინფორმაცია, მე არ ვამბობ, რომ ეს არის 100%-ით დადასტურებული ინფორმაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, არის ნიშნები. ჩემი „პოსტი“ განაპირობა ინფორმაციის წარმომავლობამ, ასევე, ბევრმა იმ ფაქტმა, რომელიც ამ ინფორმაციის რეალობაზე მიუთითებს და რომელსაც ჯერჯერობით არ ვასაჯაროებ, იმის იმედით, რომ იქნებ დაინტერესდეს ვინმე სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებიდან. მე ღიად ვისაუბრე ამ თემაზე, უბრალოდ, რაღაც ნაწილი ჯერ არ მითქვამს. დავწერე ის, რაც ე.წ. „მწვანე კაცუნების“ თემას ეხებოდა, რომელიც ყურადსაღები ინფორმაციაა.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ საქმე ძალიან სერიოზულადაა?**

– ვინც ისტორია იცის და იცის რუსეთის სახელმწიფოსა და მისი სპეცსამსახურების საქმიანობის სპეციფიკა მეზობლებთან ურთიერთობაში, ის ადვილად მიხვდება, რომ დესტაბილიზაცია ჯერ ქვეყნის შიგნით ხდება და შემდეგ მოჰყვება მას ოკუპაცია, ასე მოხდა 1921 წელს, დესტაბილიზაცია მოხდა ჯერ 1991 წლის ბოლოს და შემდეგ განხორციელდა ის პროცესები, რომელმაც შედეგად ჩვენი რეგიონების ოკუპაცია მოიტანა. მე გარკვევით ვწერ და მივანიშნებ, რომ ეს ხდება მართლწესრიგის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის მიზნით... მინდა შეგახსენოთ, ამას ემატება ის, რომ რამდენიმე თვის წინ იყო საუბარი ახალქალაქში სომეხი მოსახლეობის პასპორტიზაციასთან დაკავშირებით და ძალიან სერიოზულმა ადამიანებმა გააკეთეს ამასთან დაკავშირებით კომენტარები, მათ შორის იყო კონსტანტინე გამსახურდია და სხვები... სწორედ ამ საკითხებიდან გამომდინარე არის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი, ეს არ არის ის თემა, რომელზეც თავლის დახუჭვის უფლება შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

**— ანუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას, რომელიც, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. თუ გამოგეხმაურათ ვინმე შესაბამისი სტრუქტურებიდან?**

– სავარაუდოდ და ლოგიკურიცაა, რომ ჩემზე ადრე და უკეთ იცოდნენ სახელმწიფო ორგანოებმა, თუმცა ეს არ არის საზოგადოების ინფორმაციულ სივრცეში გაშლილი საკითხი. მე სხვათა შორის, გუშინვე მივწერე ძალიან მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმომადგენლობებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩემგან უკვე კარგად იციან, რასაც ვგულისხმობდი და დაინტერესება დიდია საერთაშორისო წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების კონკრეტული მოხელეებისა და თანამდებობის პირების მხრიდან, ვგულისხმობ დიპლომატიურ და საერთაშორისო სივრცეებს.

**— თქვენსავე „პოსტში“ საუბრობდით, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტმა არსებული მონაცემები და ეჭვები გაამყარა...**

– რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებას, ფაქტობრივი დაკავშირება, ცხადია, არ შემიძლია, თუმცა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების გარემოებებმა, საზოგადოებაში დასვა კითხვის ნიშნები ამ მიმართულებით, ამან შექმნა ერთგვარი განგსტერულობისა და კრიმინალური ქმედებების თავისუფლების აურა, სწორედ ასეთი ამინდი შეუწყობს ხელს ამ „მწვანე კაცუნების“ და შესაძლო დესტაბილიზატორთა მოქმედებების გაშლას როგორც რეგიონებში, ასევე კონკრეტულ ქალაქებში, რომელიც დავასახელე.

**— თქვენს ამ ინფორმაციასა და ქვეყანაში პრორუსული ძალების გააქტიურებას ხომ არ აკავშირებთ ერთმანეთთან?**

– მე მაქვს სუბიექტური განცდა, რომ ამ შესაძლო დესტაბილიზატორებთან, რომელზეც მე ვსაუბრობ, შიგნით თუ გარეთ, პრორუსულ პარტიებს არ გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა. ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ნატოში არ უნდა გავწევრიანდეთ, რომლებიც ამბობენ, რომ დასავლეთი, ეს არის გარყვნილების ბუდე, მხოლოდ ამას ხედავენ და დეზინფორმაციულად ავრცელებენ ამ სისულელეებს, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან უნდა ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობები, ამბობენ, რომ უნდა შევქმნათ ტრანსკავკასიური რკინიგზა აფხაზეთის გავლით, ადამიანები, რომლებიც პირდაპირ პოპულარიზებას უწევენ აქ პუტინის რუსეთის „დერჟავულ“ იდეებს, რომლებიც ცდილობენ, ამოეფარონ და გამოიყენონ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი და ა.შ. ეს ყველაფერი სახეზეა და ამას უნდა მიხედოს საზოგადოებამ. ინფორმაციის გასაჯაროების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს არის. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა კითხვები ჰქონდა გამოძიებას ნანიტაშვილთან?



გვიან ღამემდე იკითხებოდნენ ქალაქის მთავარი პროკურატურაში ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტზე, მისი მეგობარი ბადრი ნანიტაშვილი და თანაშემწე თიკო ბეჟაშვილი. საგამოძიებო უწყებაში დაკითხვა თითქმის 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოძიებას ნანიტაშვილთან კითხვები კიწმარიშვილის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით ჰქონდა. ცნობილია, რომ სწორედ ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალური დირექტორი იყო ერთ-ერთი ბოლო ადამიანი, ვინც ეროსი კიწმარიშვილს სიკვდილამდე ესაუბრა. დაკითხვის დასრულების შემდეგ მცირე კომენტარი გააკეთა თიკო ბეჟაშვილმა. მისი თქმით, გამოძიებას აინტერესებდა რა საქმიანობას ეწეოდა ის კიწმარიშვილთან. პროკურატურის დატოვების შემდეგ ორივე მათგანი ყიფშიძის ქუჩაზე, გარდაცვლილის საცხოვრებელ სახლში მივიდა. (პირველი რადიო)

## სექტემბრიდან საქართველო უცხოელებისთვის სავიზო რეჟიმს ამკაცრებს



უცხოელებს ქვეყანაში შემოსასვლელად დამატებითი დოკუმენტაცია და პროცედურები დასჭირდებათ. ზოგიერთ ქვეყანასთან კი სავიზო რეჟიმის დაწესებაა დაგეგმილი.

საქართველოში ჩამომსვლელებს ქვეყანაში ყოფნის ვადებიც მკაცრად განესაზღვრებათ. ასევე, გამკაცრდება დეპორტაციაც. რეგულაციების მიღებას ხელისუფლებას, ერთი მხრივ, ევროკავშირი ავალდებულებს, მეორე მხრივ კი – სტატისტიკური მონაცემები. (რეპორტიორი)

## ქართულმა კონტინგენტმა ჰელმანდის პროვინციაში მისია დაასრულა



ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში დისლოცირებული ქართველი სამხედროები ბაზა „ლეზერნეკს“ ტოვებენ. ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში არსებული ბაზა ფუნქციონირებას წყვეტს. ეტაპობრივად იხურება კოალიციის სამხედრო ბაზები და მცირდება კონტინგენტის რაოდენობა. 2014 წლის ბოლომდე ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალები გადაიბარებენ.

I ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი 4 თვის განმავლობაში მსახურობდა ბაზა „ლეზერნეკზე“. ქართველი სამხედროების ოთხწლიანი მსახურის შემდეგ, 23-ე ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელიც მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს დროშის ქვეშ ასრულებდა საბრძოლო დავალებებს.

ავღანეთში ქართველი სამშვიდობოები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ. ისინი კოალიციურ ძალებთან ერთად, 4 თვის განმავლობაში სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ. მათი მთავარი ამოცანა ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და ოპერაციის რაიონში მშვიდობის დამყარება იყო. (ფრონტნიუსი)



– როცა საზოგადოებრივ ტუალეტში შედიხარ, ყველაზე მეტად რისი გეშინია?
– ჩასუნთქვის!..

*****

ფეხმძიმე ცოლი ქმარს:
– ბავშვი რომ შენ დაგემსგავსოს, ეს მისთვის ძალიან დიდი უბედურება იქნება!
ქმარი:
– და თუ ბავშვი მე არ დამემსგავსა, მაშინ ეს შენთვის იქნება უდიდესი უბედურება!!!

*****

ქალი, რომელიც საკუთარ ფულს ითვლის – მარტოხელაა;
ქალი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ფულს არ ითვლის – გათხოვილია;
ქალი, რომელიც საკუთარ ფულს არ ითვლის – წარმატებით გათხოვილია;
ქალი, რომელიც სხვის ფულს არ ითვლის – საყვარელია;
ქალი, რომელიც სხვის ფულს ითვლის – ბუღალტერია.

*****



ძილის წინ მამა შვილს ზღაპარს უყვება:
– „როცა პრინცმა წვეულებაზე კონკია დაინახა, მას თვალი ვერაფრით მოსწყვიტა“...
– მამიკო და რაში სჭირდებოდა პრინცს კონკიას თვალი?..

*****

– ნინიკო, მომზადება შეგიძლია?
– კი, რატომ მეკითხები?
– მაშინ მიდი, დირექტორის მოადგილე მომზადე სამსახურიდან დათხოვნისთვის. ძალიან სუსტი გული აქვს...

*****

– რა განსხვავებაა ქალსა და კოლოს შორის?
– კოლო მხოლოდ ზაფხულობით გაწუხებს!..

*****

სოციალურ ქსელში:
– რატომ წამშალე მეგობრებიდან?
– იმიტომ, რომ ნერვებს მიშლი!
– და შენი ქმარი რომ ვარ, არა უშავს?!

*****

– ექიმო, ფეხი მოვიტეხე ორ ადგილას.
– და დაიმახსოვრეთ ეს ადგილები?
– კი...
– ჰოდა, მეორედ იქ აღარასოდეს მიხვიდე!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## რაც უფრო გრძელია ქალის ფეხები, მით ჯანმრთელია გული



გამოდის, რომ სიგრძეს აბსოლუტურად ყველაფერში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მათ შორის, ჯანმრთელობის მხრივაც.

ბრიტანელ მედიკოსებს თუ დავუჯერებთ, სიგრძე ამ შემთხვევაშიც ქალების წისქვილზე ასხამს წყალს. კერძოდ, რაც უფრო გრძელი ფეხები აქვთ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, მით ჯანმრთელია მათივე გულები.

ექსპერიმენტში, რომელიც ნისლიან ალბიონზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა, 4 ათასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა.

აღმოჩნდა, რომ ყოველი 4,3 სანტიმეტრი გულის დაავადებების რისკს 16 პროცენტით ამცირებს.

აი, როგორ განმარტავენ კვლევის ავტორები ამ უჩვეულო კანონზომიერებას: ქალის ფეხების სიგრძე შორეულ ბავშვობაში ფორმირდება, რაზეც ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს. ესენია – დიეტა გარემო პირობებთან ერთად.

**woman.ru**

## 9 წლის ამერიკელს მასწავლებლისთვის კომპლიმენტის თქმის გამო სკოლიდან რიცხავენ



ისე, ქალების მოხიბვლაზე 9 წლის ასაკში რომ დაიწყებს ზრუნვას, წარმოიდგინეთ, რომ გაიზრდება, რა იქნება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, პატარა ამერიკელმა მასწავლებელს უწყინარი კომპლიმენტი უთხრა და მეტი არაფერი.

ასეა თუ ისე, ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ერთ-ერთ სკოლაში 9 წლის ბავშვი კომპლიმენტის გამო ჯერ გაკვეთილებიდან მოხსნეს და შესაძლოა, საქმე სკოლიდან გარიცხვამდეც კი მივიდეს.

როგორც ირკვევა, ბავშვმა მასწავლებელს მხოლოდ ის უთხრა, „რა ლამაზი ხართ, მასწო“. პედაგოგმა მის სიტყვებში სექსუალური ქვეტექსტი აღმოაჩინა და მაშინვე დირექტორს ჩაუკაკლა ყველაფერი. ამ უკანასკნელმაც ბავშვის მშობელი დაიბარა და ალბათ, დიდხანს უბურღა ტვინი, როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი და როგორ უნდა მოხდეს მისი გაზრდა-განვითარებაზე ზრუნვა.

ამ დროისთვის ბავშვს სკოლა გაკვეთილებზე კვლავაც არ უშვებს. როგორ დასრულდება ეს უცნაური შემთხვევა, რთული სათქმელია.

**vkontakte.ru**

## ციხეების თანამშრომლებად... რობოტები იმუშავებენ




იმედია, პატიმრების წამების პროგრამა არ ექნებათ რობოტებს და ტარტაროზი „ნადზირატელებისგან“ ეს თვისება აუცილებლად გამოარჩევთ.

წინასწარი ინფორმაციით, სულ მალე სამხრეთ კორეის ციხეებში ადამიანებს რობოტები ჩაანაცვლებენ.

პირველ რიგში, ასეთი რობოტების ფუნქცია ის იქნება, რომ სპეციალური აღჭურვილობების დახმარებით, ისინი პატიმრების ქცევებს გააკონტროლებენ და თუკი რომელიმე დაშვებულ ზღვარს გადააბიჯებს, მაშინვე განგაშის სიგნალს ჩართავენ.

ციხის თანამშრომელი რობოტების შექმნას სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ 850 ათასი აშშ დოლარი დაახარჯა და სავარაუდოდ, ასეთი დაფინანსების შემდეგ, შედეგი მართლაც შთამბეჭდავი უნდა იყოს.

რობოტის სიმაღლე 1,5 მეტრია და ოთხი ბორბლით გადაადგილდება. პირველ რიგში, მათ ღამის საათებში გამოიყენებენ.

გარდა ამისა, თითოეულ რობოტს აქვს სპეციალური დისტანციური კავშირის დამყარების ფუნქცია, რომელიც პატიმრებს ადმინისტრაციასთან უმოკლეს დროში დააკავშირებს.

– სპეციალური აღჭურვილობის დახმარებით, რობოტები პატიმრებისგან მიიღებენ ინფორმაციას სუიციდის ან ძალადობის მცდელობის შესახებ, – ამბობენ სიახლის ავტორები, თუმცა იმას უკვე აღარ აზუსტებენ, როდის დადგება ამ ყველაფრის დრო.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კორეა ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ რობოტექნიკის მხრივ მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა გახდეს. აქ უკვე მზად არის და მუშაობს რობოტი, რომელიც სკოლებში ბავშვებს ინგლისურს ასწავლის, რობოტი, რომელიც ჩრდილოეთ კორეასთან საზღვარს აკონტროლებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**globalscience.ru**

## ბოროტმოქმედმა მძევლებს... სასამართლოში უჩივლა



ადამიანს შუბლის ძარღვი რომ გაუწყდება, წასულია მისი საქმე სამუდამოდ და ყველაფერში!..

როგორც ირკვევა, მამაკაცმა, რომელიც სხვის სახლში შეიჭრა და ოჯახის წევრები მძევლად აიყვანა, ეყო ტუტუცობა და მსხვერპლს სასამართლოში უჩივლა.

მომჩივანი ამტკიცებს, რომ მოპასუხე მხარემ დაარღვია ზეპირი პირობა, რომლის თანახმადაც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ის უნდა დაემალათ.

ჯესი დიმიკი, რომელიც მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და სამართალდამცველების მიერ იძებნებოდა, ქალაქ ტოპიკაში ერთ-ერთ სახლში შეიჭრა, სადაც ახლად დაქორწინებული ჯარედ და ლინდსი როულები ცხოვრობდნენ.

სახლის პატრონებმა, ძებნილის ნდობა რომ მოეპოვებინათ, მამაკაცი დააპურეს და მასთან ერთად ტელევიზორის საყურებლად დასხდნენ. მაგრამ როგორც კი მას დაეძინა, გაიქცნენ და პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ძებნილმა წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც დაიჭრა კიდეც.

როულების ოჯახმა დიმიკის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა მათ საკუთრებაში შეჭრისა და მძევლად აყვანის გამო, რასაც ბოროტმოქმედმა აბსურდული სარჩელი შეაგება – ზეპირი პირობის დარღვევა. გარდა ამისა, მან უჩივლა პოლიციელს, რომელმაც მას ცეცხლი გაუხსნა.

ამ დროისთვის სამივე სარჩელი განხილვის პროცესშია.

**etotupo.ru**

## ნასა კოსმოსში პროდუქტების მოშენების პრობლემის გადაჭრას ცდილობს



პირველ რიგში, საუბარი ეხება ტკბილი კარტოფილის (ბატატა) მოშენებას, რომელიც ჩვეულებრივ კარტოფილს კალორიულობითაც სჯობნის და იმითიც, რომ ძალიან მცირე ადგილზე შეუძლია სრულფასოვნად იხაროს.

ბუნებრივია, კოსმოსურ სადგურზე ან ხომალდზე ძალიან მცირე ადგილია იმისთვის, რომ მოხდეს საკვები პროდუქტების მსხვილი პლანტაციების მოვლა. სწორედ ამიტომ იქნა არჩეული ტკბილი კარტოფილი, რომელიც 4,5X1,5 მეტრის სივრცეშიც იკიდებს ფეხს.

ნასაში განმარტავენ, რომ, თუკი კოსმოსურ პირობებში ისინი კარტოფილის მოშენებას შეძლებენ, შესაძლოა, პერსპექტივაში სხვა პროდუქტების მხრივაც მიაღწიონ წარმატებას, რაც მთვარის ათვისების შემთხვევაში, ძალიან ბევრ პრობლემას მოაგვარებს.

ცნობილია ისიც, რომ კოსმოსში უკვე მომზადებულია ტკბილი კარტოფილის მოყვანისთვის საჭირო პირობები, თუმცა როდის აიღებენ პირველ მოსავალს, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

**kazakh.zerno.kz**

## ვარდისფერი სასმელი დღესასწაულებისთვის, ანუ რომელი შამპანური უნდა აირჩიოთ?



რა ფერის უნდა იყოს შამპანური? სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ შუშხუნა სასმელის ყველაზე სასარგებლო ფერი – ვარდისფერია.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ასეთ სასმელში გაცილებით დიდი რაოდენობით შედის ადამიანისთვის სასარგებლო ანტიოქსიდანტები, ვიდრე ღვინოებში, რომლებიც შუშხუნა სასმელებად იწოდებიან.

საახალწლო დღესასწაულების მოახლოებასთან ერთად, მედიკოსები იმაზე ზრუნვასა და იმის შეხსენებას იწყებენ, რომ ზომიერ ფარგლებში სასარგებლოა შუშხუნა ღვინოების მიღება, რადგან მას შეუძლია ალცჰეიმერისა დაავადების გაჩენისა და სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირება, რაც, თავის მხრივ, გულს ჯანმრთელობას უნარჩუნებს და ინსულტების გაჩენასაც ეწინააღმდეგება.

ასეთი შედეგების მიღწევაში კი ყველაზე მეტად სწორედ ვარდისფერი შუშხუნა ღვინო დაგვეხმარება.

**dr20.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. ბაშიაჩუკის ქუდი
2. ექვსფრთიანი ანგელოზი
3. ზღაპრული ურჩხული
4. რგოლებიანი პლანეტა
5. ჯულია რობერტსი და ჰიუ გრანტი ფილმში „... ჰილი“
6. ... პრესლი
7. რაჯ კაპური ფილმში
8. ვაგონი მაცივარი
9. სმენადაქვეითებული
10. კომპოზიტორი ... ყანჩელი
11. ალ პაჩინო ფილმში „... გზა“
12. ის, ვინც ნალებს აჭედებს
13. მსახიობი ... მარე
14. ბროში ადამიანის პროფილით
15. სოფელი წყალტუბოს რაიონში
16. მსახ. ... ბერიკაშვილი
17. ... ატლასი, შიგნით ათასი
18. ბურთად შეკრული თოვლი
19. გაზაფხულის თვე
20. ქალაქი აჭარაში
21. კომპოზიტორი ოთარ ...
22. მსახიობი ჟანრი ...
23. ავსტრალიელი აბორიგენების იარაღი
24. ქალაქი საფრანგეთში
25. მამათა დიდი მონასტერი
26. რუსი ხატმწერი ანდრეი ...
27. ქალაქი აშშ-ში
28. ძვ. რომაული გემი
29. რუსი მეცნიერი მიხეილ ...
30. ნილოსის რეპტილია
31. ქალაქი სირიაში
32. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
33. მდინარე ყვირილას შენაკადი
34. მონღოლეთის დედაქალაქი
35. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
36. თევზის ძვალი
37. მსახიობი ... ჩურიკოვა
38. მსახიობი გოგი ...
39. 90გრადუსიანი კუთხე
40. ხის სოლი
41. დაბალხარისხიანი
42. სრუტე ...-დე-კალე
43. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
44. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
45. ...-დე-ჟანეირო
46. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
47. შოტლანდიის დედაქალაქი
48. ძაღლის ჯიში
49. პიერ რიშარის კინოგმირი
50. მხ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
51. მევიოლინე ... ისაკაძე
52. ედრიან ბროუდი ფილმში
53. ცოცხალ არსებათა განვითარება
54. კეთილი საქმე
55. ბულგარელი ნათელმხილველი
56. მდინარე რომში
57. სიმღერის მუსიკა
58. კუნძული ატლანტის ოკეანეში
59. ბილიარდის ჯოხი
60. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
61. რუსი მხატვარი
62. ტანმოვარჯიშე ოლგა ...
63. ჭურვი სქელი ბენზინით
64. მომღერალი ... პავლიაშვილი
65. მსახიობი ... ფარელი
66. მსახიობი ჩარლზ ...
67. ფეხბურთელი რევაზ ...
68. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
69. ჩრდილოეთის ირემი
70. შვიდი დღე
71. უმაღლესი განათლების მოწმობა
72. რეჟისორი ფრანკო ...
73. მსახიობი ... ვარდალოსი
74. მომღერალი ... ჯონსი
75. მარცხი
76. ლორის ნაშიერი
77. მწერალი ... ყაზბეგი
78. კურორტი გურჯაანის რაიონში
79. მისი დედაქალაქია ტრიპოლი
80. მწერალი ... ტოლსტოი
81. მევიოლინე ვანესა ...
82. მამაკაცი ძიძა
83. ქალაქი ავსტრალიაში
84. თბილისის უბანი
85. ... ძმისთვის, შავი დღისთვისაო
86. პარფიუმერული სითხე
87. საგალობელი ...-მარია
88. პოეზიის ჟანრი
89. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
90. მუსლიმანური სალოცავი
91. ვაშლის ღვინო
92. ფედერიკო ფელინის ფილმი
93. მსახიობი ჟან ...
94. შიიზმის მიმდევარი
95. ზღვაოსანი ფერნანდო ...
96. ყვავილი
97. თევზის ჯიში
98. ქალი (მოძვ.)
99. სასოფლო-სამეურნ. იარაღი
100. მხ/ფ „მიმინო“ ვალიკო ...
101. მწუხარე სახის ...
102. დათუნია ... პუჰი
103. ნაჭრის ჭურჭელი
104. ზღაპარი „12 ...“
105. გულუბრყვილო
106. მსახიობი ... დელონი
107. არენდა
108. მძიმე მრეწველობის საწარმო
109. გადამყიდველი
110. გადაშენებული სპილო
111. ამერიკელის მეტსახელი მექსიკაში
112. ვერდის ოპერა
113. გი დე მოპასანი. „... მეგობარი“
114. ბოშათა საბჭოთა თეატრი
115. მსახიობი ანჯელინა ...
116. ... ფიტცჯერალდი
117. ყურძნის ჯიში
118. მსახიობი ... ასანტე
119. მომღერალი ... ბურჭულაძე
120. ინდოეთის დედაქალაქი
121. ჭამის სურვილი
122. რძის პროდუქტი
123. საყანედ გაჩეხილი ტყე
124. მომღერალი ... ვაიკულე
125. ვერცხლის ათცენტიანი
126. ცხენებშებმული ტრამვაი
127. ... ძედუნი
128. სამაგიდო თამაში
129. გაზაფხულის თვე
130. წყლის ტრანსპორტი
131. თავაშვებული ღრეობა
132. ... ულენშპიგელი
133. ტენორი ... ლანცა
134. მსახიობი ... გარსია
135. მსახიობი ბენისიო ... ტორო
136. ან ... ლუკ ბესონის საკულტო ფილმში „ნიკიტა“
137. ნიავი, ანუ ...
138. 10დმ
139. მწერალი ... ქიაჩელი
140. მსახიობი ... მონტანი
141. იუპიტერის თანამგზავრი

პასუხები: 1. ფაფანაკი; 2. სერაფიმი; 3. გველეშაპი; 4. სატურნი; 5. ნოთინგ; 6. ელვის; 7. „ავარა“; 8. რეფრიჟერატორი; 9. ყრუ; 10. გია; 11. კარლიტოს; 12. ნალბანდი; 13. ჟან; 14. კამეა; 15. გეგუთი; 16. გივი; 17. გარეთ; 18. გუნდა; 19. აპრილი; 20. ქობულეთი; 21. თაქთაქიშვილი; 22. ლოლაშვილი; 23. ბუმერანგი; 24. ნიცა; 25. ლავრა; 26. რუბლიოვი; 27. ატლანტა; 28. გალერა; 29. ლომონოსოვი; 30. ნიანგი; 31. ალეპო; 32. ქალამანი; 33. ძირულა; 34. ულან-ბატორი; 35. „აელიტა“; 36. ფხა; 37. ინა; 38. ქავთარაძე; 39. მართი; 40. პალო; 41. მდარე; 42. პა; 43. სალიერი; 44. ერინ; 45. რიო; 46. ძიძია; 47. ედინბურგი; 48. დობერმან-პინჩერი; 49. პინიონი; 50. მილიონი; 51. ლიანა; 52. „პიანისტი“; 53. ევოლუცია; 54. მადლი; 55. ვანგა; 56. ტიბრი; 57. მელოდია; 58. გრენლანდია; 59. კიი; 60. ავლიპი; 61. რერიხი; 62. კორბუტი; 63. ნაპალმი; 64. სოსო; 65. კოლინ; 66. ლოუტონი; 67. ძოძუაშვილი; 68. ვერდი; 69. მარალი; 70. კვირა; 71. დიპლომი; 72. ძეფირელი; 73. ნია; 74. ნორა; 75. ფიასკო; 76. გოჭი; 77. ალექსანდრე; 78. ახტალა; 79. ლიბია; 80. ლევ; 81. მეი; 82. ლალა; 83. ადელაიდა; 84. ავლაბარი; 85. ძმა; 86. სუნამო; 87. ავე; 88. ლირიკა; 89. მალტა; 90. მეჩეთი; 91. სიდრი; 92. „რვანახევარი“; 93. რენო; 94. შიიტი; 95. მაგელანი; 96. ტიტა; 97. კალმახი; 98. მხევალი; 99. ბარი; 100. მიზანდარი; 101. რაინდი; 102. ვინი; 103. ტომარა; 104. თვე; 105. მიამიტი; 106. ალენ; 107. იჯარა; 108. ქარხანა; 109. ჩარჩი; 110. მამონტი; 111. გრინგო; 112. „აიდა“; 113. ლამაზი; 114. „რომენი“; 115. ჯოლი; 116. ელა; 117. თითა; 118. არმან; 119. პაატა; 120. დელი; 121. მადა; 122. დო; 123. ახო; 124. ლაიმა; 125. დაიმი; 126. კონკა; 127. მაო; 128. ნარდი; 129. მაისი; 130. გემი; 131. ორგია; 132. ტილ; 133. მარიო; 134. ენდი; 135. დელ; 136. პარიიო; 137. სიო; 138. მეტრი; 139. ლეო; 140. ივ; 141. იო. იკითხება: ფარშევანგი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გონებრივი სისუსტის წინააღმდეგ — შემწვარი თევზი



საერთოდ, მიღებულია მოსაზრება, რომ შეწვის შემდეგ, პროდუქტი ყველა სასარგებლო თვისებას კარგავს, თუმცა აღმოჩნდა, რომ არც მთლად ასეა საქმე.

მეცნიერებმა სულ ახლახან დაადგინეს, რომ შემწვარი თევზი მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ თვისებებს ფლობს — მისი რეგულარული მიღება ადამიანს ეხმარება, თავი დააღწიოს ალცჰეიმერის და ასევე, სხვა გონებრივ დაავადებებს.

შემწვარი თევზის მთელი საიდუმლოება, თურმე, იმაში იმალება, რომ ის აძლიერებს კავშირს ნეირონებს შორის და მათ შენარჩუნებაზეც ზრუნავს. შედეგად, ადამიანებს, რომლებიც შემწვარ თევზს ხშირად აგემოვნებს, გაცილებით მეტი ნერვული უჯრედები აქვთ თავის ტვინში შემორჩენილი, ვიდრე მათ, ვინც პროდუქტს არცთუ ხშირად სწყალობს.

სპეციალისტების განმარტებით, ნახსენები დაავადებების პროფილაქტიკისთვის საკმარისია შემწვარი თევზი კვირაში თუნდაც ერთხელ მაინც მივიღოთ.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური თვალსაზრისითაც ეს ბევრისთვის ხელმისაწვდომია და ამდენად, საკმაოდ სერიოზულ უსიამოვნებებთან ბრძოლა არცთუ ძვირადაა შესაძლებელი.

***medportal.ru***

## როგორ უნდა შეაყვაროთ ბავშვს ბოსტნეული?



რომ ჰკითხოთ, რატომ არ უყვარს ბავშვს კომბოსტო, ან რატომ უნდა, რომ წვნიანში ერთი ცალი მწვანილი მაინც არ ცურავდეს, ნამდვილად ვერ გეტყვით. არ უყვარს, არ უნდა, მორჩა და გათავდა! არადა, ბოსტნეულის გარეშე ბავშვის ორგანიზმის დატოვება კატეგორიულად არ შეიძლება! მაშ, როგორ უნდა მოიქცეს მშობელი და როგორ უნდა შეაყვაროს პატარას მართლაც სასარგებლო პროდუქტები?

მედიკოსებმა ამ პრობლემის გადაჭრა სცადეს და ასეთი ხერხი მოიფიქრეს: იმისთვის, რომ ბავშვებმა ბოსტნეული უფრო მიმზიდველად ჩათვალონ, საჭიროა პროდუქტს სოუსი მოასხათ.

რატომ და როგორ ტყუვდებიან პატარები, მიგნების ავტორები ვერ ხსნიან, თუმცა ყველაზე ჭირვეულებშიც კი მათ გადასარევ შედეგს რომ მიაღწიეს, ფაქტია.

კერძოდ, ამ უჩვეულო ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ სოუსის მოსხმის შემდეგ, ბავშვებმა 80 პროცენტით მეტი ბროკოლი შეჭამეს.

რაღა თქმა უნდა, ბავშვებისთვის განკუთვნილი სოუსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მარილიანი და ცხიმიანი.

***woman.ru***

## ტკივლის მოთმენა გსურთ? უნდა... იგინოთ



– უცენზურო სიტყვები ტკივილს აყუჩებსო, – მეხის გავარდნასავით გაისმა მეცნიერების ეს მიგნება ცოლებისთვის, თუმცა, როცა სიტუაციაში გაერკვნენ, ცოტათი დამშვიდდნენ.

აი, რაშია საქმე: ვისაც სურს, რომ ტკივილი გაიყუჩოს, კაი გემრიელი გინება უნდა ამოუშვას პირიდან, ოღონდაც, ერთი თავისებურება კი ჰქონია ამ „თერაპიას“ – დადებით და სასურველ შედეგს მხოლოდ ის იღებს, ვინც... ზრდილობიანია.

ძალიან უცნაურია, არა? კი, ნამდვილად და ზუსტად ისეთი უცნაური, როგორიც, ზოგადად, ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებად გინების გამოყენება.

ექსპერიმენტების სერია ამ მართლაც უჩვეულო საკითხთან დაკავშირებით ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს – მოხალისეებს ისინი ყინულივით ცივი წყლით წუწავდნენ. ის, ვინც ამ დროს გემოზე იგინებოდა, უსიამოვნო შეგრძნებებს გაცილებით დიდხანს უძლებდა.

ერთი კია, როგორც ექსპერიმენტის ავტორები ამბობენ, გინება დადებით გავლენას მხოლოდ ინტელიგენტ, თავშეკავებულ ადამიანებზე ახდენდა, ხოლო მან, ვინც ისედაც სულ იგინება და ილანძღება, შედეგი თითქმის ვერ მიიღო. რატომ? კაცმა არ იცის...

***newstube.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 ივლისი:** რამე სასარგებლოს გაკეთებას თუ დაიწყებთ, უბრალოდ, დროს დაკარგავთ. უმჯობესია, სასიამოვნო რამე აკეთოთ, ერთმანეთს ამ ორ რამეს ვერ შეუთავსებთ.

**კურო 22.04-21.05**
**17 ივლისი:** ნებისმიერ პრობლემას თქვენად ნუ მიიჩნევთ, თორემ ცხოვრება კოშმარად გექცევათ. ცოტა დაისვენეთ და გაერკვიეთ, რაზე შეგიძლიათ გავლენის მოხდენა და რაში ხართ უძლური.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 ივლისი:** ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც მოგეჩვენებათ. თუ დარწმუნებული იქნებით, რომ გესმით სიტუაცია და ვიღაცის ქმედებების წინასწარ განსაზღვრაც შეგიძლიათ, ე.ი. სინამდვილეში არაფერიც არ იცით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 ივლისი:** ნუ შეეცდებით თქვენი ჭკუამახვილობის შეზღუდვას. ხომ შეიძლება წელიწადში ერთხელ მაინც, თქვენს გემოზე იხალისოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**17 ივლისი:** კარგად დაფიქრდით, სანამ საერთო განწყობას დაემორჩილებით. შეიძლება დღეს გარშემომყოფთა ოპოზიციაში ყოფნა უკეთესი იყოს.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 ივლისი:** შეიძლება ზომაზე მეტი ილაპარაკოთ. ფრთხილად, მტერს არ სძინავს. ნაკლები ილაპარაკეთ, ვიღაცა დაინტერესებულია თქვენი სიტყვაუხვობით.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 ივლისი:** უცნაურია, მაგრამ უსიამოვნებებს ბოლო მომენტში აიცილებთ, თანაც ისეთ დროს, როცა ყველაფერი გარდაუვალი მოგეჩვენებათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 ივლისი:** ზედმეტი მოკრძალება არ ღირს, თუ რამე სათქმელი გაქვთ, ხმამაღლა თქვით, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს აზრს აღარ გაითვალისწინებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 ივლისი:** სასურველს პრაქტიკულად, მიაღწიეთ, მხოლოდ ბოლო ძალისხმევა დაგრჩათ. სწორედ ამას უნდა მიხედოთ დღეს.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 ივლისი:** შეეცადეთ, ნებისმიერი საქმე, რომელსაც ხელს მოკიდებთ, დაასრულოთ, თუ არა და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 ივლისი:** ნებისმიერ კამპანიაში ძალიან თავისუფალი და უშუალო იქნებით. წარმატებული დღე იქნება სხვადასხვა სახის მოლაპარაკებებისთვის.

**თევზები 19.02-20.03**
**17 ივლისი:** შეეცადეთ, დინჯად იმოქმედოთ, ყველაფერი წინასწარ გაიაზრეთ და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ.

## საღებავებსა და ლაქებს პარკინსონიზმით „დაჯილდოება“ შეუძლიაო



არც თუ სახარბიელო დასკვნები გამოიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა: ქიმიური შენაერთები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა სფეროში აქტიურად გამოიყენება, პარკინსონის დაავადების გაჩენის რისკს 6-ჯერ ამაღლებს.

საუბარია ტრიქლორეტილენზე, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, მედიცინაში, როგორც ნარკოზული და ასევე, საყოფაცხოვრებო პირობებში, როგორც საღებავების გამხსნელი საშუალება.

აღნიშნული ნივთიერების კანცეროგენულობა ჯერ კიდევ 2001 წელს დამტკიცდა, რასაც ევროკავშირის ქვეყნებში მისი გამოყენების მასშტაბების შემცირება მოჰყვა, თუმცა ბოლომდე უარის თქმა მაინც ვერ მოხერხდა.

უკანასკნელი კვლევით, რომელშიც ერთი კვერცხუჯრედის მქონე 99 ტყუპ მონაწილეობდა, დამტკიცდა, რომ ტრიქლორეტილენსა და პარკინსონის დაავადებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

კერძოდ, ერთ ტყუპისცალს დაავადება უჩნდებოდა, მეორეს – არა, რაც სწორედ ტრიქლორეტილენთან მათი კონტაქტის სიხშირით აიხსნება.

საინტერესოა, რომ შუალედი, რომელიც ტრიქლორეტილენსა და პარკინსონის დაავადებას შორის არსებობს, დაახლოებით 40 წელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საღებავებთან ხშირი კონტაქტის შედეგად პარკინსონიზმი შეიძლება ბევრი წლის გასვლის შემდეგ განვითარდეს.

როგორ განვითარდება მოვლენები აღნიშნული დასკვნის გახმაურების შემდეგ, რთული სათქმელია, თუმცა ნორმალურ ქვეყნებში მაინც, ალბათ, გარკვეული შეზღუდვები აუცილებლად დაწესდება.

***medkarta.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ანეკდოტი



ორი ძმაკაცი სანადიროდ წავიდა. სულ მალე მათ ბუნაგს მიაგნეს, საიდანაც კაი მოზრდილი დათვი გამოვარდა. გარბიან მონადირეები, რაც ძალა და ღონე აქვთ, მაგრამ მხეცი მაინც ეწევათ. სხვა რომ ვეღარაფერი ქნეს, ხეზე აცოცდნენ. დათვი გაჩერდა, ღრიალებს, არ ჩერდება, მერე კი მანაც ხეზე ახოხება დაიწყო.

ერთ-ერთმა დაუმიზნა და ძმაკაცს გასძახა:

– არ შეგეშინდეს, მიზანში მყავს, „კვერცხებში“ ვესვრი!

გაისროლა, გაარტყა. დათვი უფრო გამწარდა.

– მოიცა, ახლა პენისში გავარტყამ.

– შუბლში ესროლე, შე შობელძაღლო, შუბლში! თვალებზე ვატყობ, ხეზე სექსისთვის სულაც არ მოძვრება!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
≫211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50